45
73/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

დეკემბერი
№ 12 1973 წ.



მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, აკადემიკოს ვიქტორ დიმიტრის ძე კუპრაძეს დაბადების 70 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით პატივცემული ვიქტორ კუპრაძე ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია, თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად, გულით ულოცავს ძვირფას იუბილარს და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს მეცნიერულ მოღვაწეობაში და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 1974 წელი საზგა ზანის დადგა

ამ ათიოდე წლის წინ გიგაშვილების ოჯახის დედამ ზანიმ რუსთავის ხალიჩების საქსოვ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. საწარმოო საქმიანობამ გამრჯე ადამიანს სულაც არ შეუშალა ხელი სამი შვილის მოვლაში. ისევ ხალისიანი, ალერსიანი და მზრუნველი დედა იყო, როგორც ადრე. ფაბრიკაში კი მალე გაითქვა სახელი, როგორც შრომისმოყვარე ადამიანმა.

არ შეიძლება ითქვას, რომ ხალიჩების ფაბრიკაში შრომა საინტერესო არ იყო მისთვის, აქ მან პირველი დიდი გაკვეთილი მიიღო, ურომლისოდაც ადამიანი წინ ვერ წავა, მაგრამ გულმა უფრო ფართო ასპარეზისაკენ გაუწია — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნისაკენ.

ამჯერად თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ქარხანაში მოხვდა იგი.

ამიტომ უფრო მეტი ყურადღება და მონდომება გამოიჩინა. გულდასმით შეისწავლა ახალი საქსოვი დაზგები, მათი სპეციფიკა. გულისხმიერად დაუგდო ყური უფროსებისა და გამოცდილი სპეციალისტების რჩევა-დარიგებას.

მას, როგორც მქსოველს, პირველად ერთი დაზგა მიანდეს, ვნახოთ როგორ მოუვლის, როგორ ფეხს გამოიჩენსო, მაგრამ ერთ თვეში უკვე სამ დაზგას უვლიდა ერთდროულად. რასაკვირველია, ეს თავისთავად ბევრ რამეს ნიშნავდა, მაგრამ არც თუ ისე დიდი გამარჯვება იყო, რადგანაც ზოგიერთი მარჯვე მქსოველი ოთხ დაზგას თავისუფლად ემსახურებოდა.

ზანიმ მოსვენება დაკარგა, რატომ უნდა ჩამორჩენოდა სხვას, მასაც შეეძლო მოწინავეებს გატოლებოდა.

ამისათვის კი საჭირო გახდა დაუღალავი ძიება. იგი აკვირდებოდა მოწინავე მქსოველების მუშაობის მეთოდებს, ეკითხებოდა მათ ყოველივეს, რაც აინტერესებდა, მერე თვითონაც გაიწაფა ხელი, ძაფისა და მაქოს საიდუმლოება გაიგო.

ახლა საამქროში ოთხ დაზგაზე ყველა მქსოველს შეუძლია მუშაობა, უფრო სწორად, არ არის მუშა, რომელსაც ოთხ დაზგაზე მუშაობა არ შეეძლოს. ეს იდეა კი, რომელზეც ახლა უნდა მოგიყვეთ, სწორედ მაშინ დაებადა ზანი გიგაშვილს, როდესაც ცნობილმა მძახავმა ქალმა ელენე კოწიწაშვილმა სრულიად ახალ თაოსნობას დაუდო სათავე. ელენემ გადაწყვიტა დღიური დავალება ორმაგი გადაჭარბებით შეესრულებინა, 32-ის ნაცვლად 64 თითისტარს მომსახურებოდა ერთდროულად.

ელენეს ამ ინიციატივამ მთელი რესპუბლიკის მშრომელები აალაპარაკა. ის კი არა და, დღეისათვის კოწიწაშვილის მეთოდით ჩვენს ქვეყანაში ათასობით მქსოველი მუშაობს. ამიტომ იყო სახელოვან ქალს ამ რამდენიმე წლის წინ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება რომ მიანიჭეს.

ზანის გულით გაუხარდა კოლეგის ასეთი წამოწყება და განიზრახა თვითონაც გამოეძებნა ახალი გზა, შრომითი წარმატების ახალი საშუალება.

ეს იყო ამ ოთხიოდე წლის წინ.

მქსოველმა ქალმა ბევრი იფიქრა, მაგრამ მიზანი საკმაოდ ძნელად მისაღწევი ჩანდა. საქმე იმაშია, რომ ელენე ძაფსაგრეხ დანადგარს ემსახურება, სადაც თითისტარები ერთმანეთის მიყოლებითაა ჩამწკრივებული, ასე რომ ფიზიკურად მანძილის სიშორე ხელისშემშლელი არ არის.

საქსოვი დაზგები კი სულ სხვაა, აქ ისინი ერთმანეთისაგან საკმაოდ დიდი მანძილით არიან დაშორებულნი, თუმცა აქაც გამოიძებნა გამოსავალი — თუ საქსოვ დაზგას კარგად გააწყობ და თვით დაზგაც ტექნიკურად გამართული იქნება, ის საშუალებას მოგცემს გარკვეული დროის განმავლობაში დატოვო უმეთვალყუროდ, ამ დროში კი მესამე და თუნდაც მეხუთე დანადგარი შეამოწმო.

თავისი ნააზრევი და ნაანგარიშევი ზანიმ საამქროს ტექნოლოგს დარეჯან გულუას გაანდო.

— ეს ძალიან კარგია, — მოუწონა დარეჯანმა, — ჯერ ხუთ დაზგას მოემსახურე, მერე კი ვნახოთ.

იმავე დღეს ზანის კიდევ ერთი დაზგა გამოუყვეს. მეორე დილით ზანი ერთი საათით ადრე მოვიდა სამუშაოზე, შეამოწმა დაზგები, ძაფი და სხვა მასალები მოიმარაგა და თხუთმეტი წუთი მოანდომა ხუთივე დაზგის გაწყობას, თითქმის იმდენი, რამდენიც მანამდე ოთხ დაზგას სჭირდებოდა.

ახლა მთავარი იყო ხარისხისათვის ზრუნვა. იმისათვის, რომ ძაფი არ გაწყვეტილიყო და წუნი არ გაპარვოდა, ზანი მარდად დადიოდა დაზგებს შორის. დარეჯანიც ხშირად აკითხავდა, ზოგჯერ ხელსაც აშველებდა. უფროს ტექნოლოგს და ამხანაგს გულით უხაროდა ნოვატორი მქსოველის წარმატება...

ზანის გამარჯვებას ულოცავდნენ, ის კი ასე პასუხობდა კეთილისმსურველებს: „ახლა შვიდ დაზგას ვემსახურები, მართალია, ამის მისაღწევად დიდი შრომა დამჭირდა, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვარ. ამჟამად დღიურ დავალებებს 40-50 პროცენტით ვაჭარბებ. ამით დიდი სარგებლობა მომაქვს ქარხნისათვის. გაიზარდა ჩემი ხელფასიც. თუ ადრე 180-200 მანეთს ვიღებდი, ახლა ჩემი საშუალო გამომუშავება 250 მანეთია.

ქარხანაში მუშაობა ხელს როდი მიშლის ოჯახის მოვლაში. მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს ვეხმარებით, ბავშვებს ყურადღებას არ ვაკლებთ...

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენს ქალაქში ბევრი ქალი დიასახლისობას არჩევს და წარმოებაში შრომა ეზარება, მეუღლის ხელფასს მისჩერებია. ეს იმ დროს, როცა ჩვენს ქარხანას მუშა ხელი სჭირდება. მე მინდა მათ ვუთხრა, რომ შრომას სიკეთე მოაქვს ოჯახისათვის. ამის მაგალითად ჩემი და ჩემი კოლეგების ცხოვრება გამოადგებათ. ისინი ქარხანაში დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობენ, არც საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩამორჩებიან და ღირსეული დედისა და დიასახლისის სახელსაც ატარებენ".

ფრიად საყურადღებო საკითხს სვამს ზანი. მართლაც, ქიმიური ბოჭკოს ქარხანას დღეისათვის 800-ზე მეტი მუშა სჭირდება, ქალაქში კი, ვინ მოსთვლის, რამდენი ქალია, რომლებიც მხოლოდ დიასახლისობით კმაყოფილდებიან. რა იქნება, რომ მათ მიბაძონ ზანის. ამ ადამიანის ცხოვრება ხომ აღსავსეა სიხარულითა და ბედნიერებით. მარტო ის რად ღირს, რომ შარშან ზანი გიგაშვილი ქარხნის სხვა მოწინავეებთან ერთად შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ამ მოწინავე მქსოველის შრომა ადრეც მრავალჯერ ღირსეულად დააფასა პარტიამ და ხელისუფლებამ, იგი დაჯილდოვებულია მედლებითა და საპატიო სიგელებით. და მაინც ზანისათვის ყველაზე დიდი ჯილდო ის სიყვარული და დაფასებაა, რასაც იგი იმსახურებს თავის კოლექტივში, მეგობრებსა და ამხანაგებში. ჯილდოა ისიც, რომ ბევრი მიმდევარი ჰყავს.

ამჟამად ნოვატორი მქსოველის ზანი გიგაშვილის მეთოდით მუშაობენ მქსოველები: ევგენია გულიაშვილი, ელზა გუგეშაშვილი, ნინო ჩოხელი და სხვები. ზანის თაოსნობას უდიდესი სარგებლობა მოაქვს კოლექტივისათვის. ყველა მქსოველმა რომ ამ მეთოდით იმუშაოს და შვიდ-შვიდ დაზგას მოემსახუროს, მაშინ თითოეულ ცვლაში სამი კაცი გამონთავისუფლდება და მათ სხვა უბნებზე გამოიყენებენ სამუშაოდ.

ზანი გიგაშვილი კარგა ხანია 1974 წლის ანგარიშში უშვებს პროდუქციას. მისთვის რამდენიმე თვით ადრე დადგა 1974 წელი.

**გივი ჯახუა**

# ოქროს მედლოსანი

**გურიაში ვართ... ეს ის გურიაა, პოეტებისა და მწერლების შთაგონების წყაროდ რომ ქცეულა. ეს ის გურიაა, გიორგი ლეონიძემ რომ უძღვნა ლექსი — „რა გვიან მოგინახულე".**

**...გავიარეთ ნასაკირალის ისტორიული ადგილები, მშვენიერი, თანამედროვე ქალაქი მახარაძე და ლაითურში ვართ.**

**ლაითური თავისებურად დასახლებული დაბაა. აქ შექმნილი მეურნეობა-ტექნიკუმი კიროვის სახელს ატარებს და არსებობის ორმოცი წლის ისტორიას ითვლის. მასპინძლებმა ლეგენდა თუ ხალხში გაგონილი ამბავი მიამბეს: წინათ აქ გაუვალი, ულრანი ტყეები ყოფილა. გურიისა და სამეგრელოს სოფლებიდან მოტაცებულ ბავშვებს დღისით ამ ტყეებში მალავდნენ და ღამით გაჰყავდათ თურქეთში გასასყიდათ. მაშინ არავინ ცდილობდა ამ ულრანი ადგილების გამოყენებას. მხოლოდ მეფის მთავრობამ გამოიყენა იგი და რამდენიმე რუსული ოჯახი ჩამოასახლა დასჯის მიზნით. დაარსდა სოფლები ვოზნესენსკოე და უზნესკოე. ზუსტად არავინ იცის ამ სოფლებმა რამდენი წელი იარსება, ან როგორი სოფლები იყო. შემდეგ ისევ მეფის მთავრობამ გადაწყვიტა მათი განადგურება და ჩამოსულები უმისამართოდ გაუყენეს გზას. გემი, რომლითაც ისინი გადაჰყავდათ, ნოვოროსიისკის მისადგომებთან ჩაიძირა, თუ განზრახ ჩაძირეს. მათგან არცერთი კაცი არ გადარჩენილა ცოცხალი.**

**საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კერძოდ 30-იან წლებში, დაიწყო რუსების ნამოსახლარის და მისი ახლო-მახლო ადგილების ათვისება, ნიადაგების მო-**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სინჯვა ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. ჩაატარეს დაზვერვითი სამუშაოები.

იჩეხებოდა ასწლოვანი ხეები, იკაფებოდა ეკალ-ბარდნარი. ახალგაზრდები კომკავშირული საგზურებით მოდიოდნენ მეზობელი რაიონებიდან და მონაწილეობდნენ აქაურობის განაშენიანებაში. გაშენდა 1.000 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ციტრუსების, ვაზის, დაფნის, ხეხილისა და ბამბუკის ნარგავები.

მოსავლის აღების პირველსავე წელს მეურნეობამ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენის მონაწილეობის უფლება მოიპოვა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

დღეს ლაითური უაღრესად კეთილმოწყობილი დაბაა. შარშან საკავშირო კონკურსში მიიღო მონაწილეობა. კონკურსის პირობები ითვალისწინებდა საბჭოთა მეურნეობების ცენტრების დათვალიერებას. ჟიურიმ მიუკერძოებლად მიაკუთვნა ლაითურს ოქროს მედალი.

მეურნეობის ცენტრს ამშვენებს ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, კულტურის სახლი, სამი ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ხუთი საბავშვო ბაგა-ბაღი, ოთხი სტაციონარული სასადილო, საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა ობიექტი: აბანო, სამრეცხაო, სამკერვალო, საპარიკმახეროები; მეურნეობის მუშების განკარგულებაშია 50-ადგილიანი სანატორიუმი-პროფილაქტორიუმი, კეთილმოწყობილი საავადმყოფო.

მეურნეობის ბაზაზე მუშაობს ჩაის მძლავრი ფაბრიკა. სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტები აქვე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ეუფლებიან აგრონომიულ, საგეგმო-ეკონომიურ, მექანიზაციის, საბუღალტრო და მეხილეობის სპეციალობებს.

ამ რამოდენიმე წლის წინ ერთ კარგ, საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი: ლაითურის მიწაზე აჭარის მთიანი რაიონებიდან მთავრობის სპეციალური დადგენილებითა და დახმარებით 200 ოჯახი გადმოსახლდა. ახალმოსახლეებს მისცეს სახელმწიფო სესხი. წამოიჭიმა თანამედროვე ტიპის ორსართულიანი ოდა-სახლები. ერთდროულად ორი საქმე გაკეთდა — საბოლოოდ გადაიჭრა მეურნეობის მუშახელით უზრუნველყოფის პრობლემა, გაუმჯობესდა მთიანი რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები.

მეურნეობის დამხმარე ძალაა ახმეტის რაიონიდან ჩამოსული ქისტები, პატიოსანი, მშრომელი ადამიანები, რომლებიც ყოველ წელს ჩამოდიან და რჩებიან ჩაის კრეფის დაწყების სეზონიდან მის დამთავრებამდე.

ლაითურელების განკარგულებაშია 51 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო". წელს აქ გამოცდას გადიოდა ოთხი სხვადასხვა ტიპის ჩაის საკრეფი იაპონური მანქანა. იგი ყოველდღიურად 800-400 კგ ჩაის კრეფს, არ აზიანებს ნიადაგს, შედარებით მოსახერხებელია, იწონის ორ კილოგრამსა და 700 გრამს.



ადმინისტრაციული სახლი



სანატორიუმი-პროფილაქტორიუმი

ლაითურელების საამაყოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა კომპლექსურმა მექანიზაციამ ამ მეურნეობაში გაიარა გამოცდა: თვით მანქანა „საქართველომაც" აქ აიდგა ფეხი. აქ აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ, შესწორებები შეჰქონდათ ჩაის სასხლავ, საკულტივაციო, სასუქების შემტან მანქანებში. ეს იმიტომ, რომ იყო ხელშემწყობი პირობები, შესაფერი რელიეფი, პლანტაციების სივრცე.

ლაითურის მეურნეობა-ტექნიკუმში 60 ბრიგადა და 12 აგროგანყოფილებაა. თითოეულ აგროგანყოფილებას კვალიფიციური აგრონომი ხელმძღვანელობს. მეურნეობის მთავარი აგრონომია რევაზ სალუქვაძე. ეს ის რევაზ სალუქვაძეა, რომლის გმირობის ამბავი ამ რამოდენიმე წლის წინ ყველას პირზე ეკერა. მან ეს გმირობა ბათუმიდან სოხუმში მიმავალ ათკაციან თვითმფრინავში ჩაიდინა. მან შესძლო განიარაღება



კულტურის სახლი



ბავშვთა სანატორიუმი



საშუალო სკოლის შენობა

თვითმფრინავში შეპარული ბანდიტებისა, რომელთაც განზრახული ჰქონდათ მგზავრების ამოხოცვა და თვითმფრინავის თურქეთში გატაცება. ასე იხსნა ქართველმა ვაჟკაცმა ეკიპაჟი მოსალოდნელი საფრთხისაგან და მგზავრებიც გადაარჩინა. ამ გმირობისათვის მთავრობის ჯილდო დაიმსახურა. რევაზი საინტერესო მოსაუბრე, განათლებული კაცია, თავისი საქმის დიდი პატრიოტი. მოსკოვში მიიღო უმაღლესი განათლება, სწავლობდა ასპირანტურაში, მაგრამ გულმა მშობლიური რაიონისაკენ გამოუწია.

წელს ლაითურელებმა 5.200 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს. ეს არც ისე პატარა ციფრია და ზოგიერთი რაიონის გეგმას უტოლდება. ლაითურს გიგანტ მეურნეობას უწოდებენ. მას ბევრი სახელოვანი მშრომელი ადამიანი ჰყავს.

აი ისინი: სოციალისტური შრომის გმირი, უკრაინელი ლიდა კოსენკო, პარტიის მახარაძის რაიკომის წევრები: ქრისტინე ლომაძე და ნუნუ დუდუჩავა, რომლებიც ყოველდღიურად 100 კილოგრამამდე ჩაის კრეფენ, ეთერ მექაშვილი, იგი ყოველწლიურად 10-11 ტონა ჩაის აბარებს სახელმწიფოს, მათ არც ნათელა ფუტკარაძე და ნაზი შავაძე ჩამორჩებიან, სასახელოდ შრომობს ახალგაზრდა მექანიზატორი მაგული ქუთათელაძე, რომელიც ახლახან მიიღეს სკკპ წევრად. 26 ტონა ჩაი მოკრიფა მაგულიმ მანქანა „საქართველოთი".

საიუბილეო წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებების მოპოვებისათვის ლაითურის მეურნეობა-გიგანტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო ნიშნით დაჯილდოვდა.

1978 წელს ჩაის დამზადების გეგმა-ვალდებულების გადაჭარბებით შესრულება უთუოდ კარგად ორგანიზებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ განაპირობა. მეურნეობა შეჯიბრშია ჩაბმული ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობასთან, ხოლო ორივენი ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ეჯიბრებიან. შეჯიბრება გაშლილია შიგ მეურნეობაშიც, ცალკეულ აგროუბნებს, საწარმოო ბრიგადებსა და მუშებს შორის, რეგულარულად მოწმდება შედეგები. წელიწადში ორჯერ სპეციალური ჟიური გამარჯვებულებს აჯილდოებს.

ლაითურელები ბევრი კარგი და საინტერესო წამოწყების მოთავენი არიან. პირველად აქ შეიქმნა 3-4 კაცისაგან შემდგარი კომპლექსური რგოლი. ეს არის მუშაობა-ანაზღაურების პროგრესული მეთოდი. რგოლის მიერ გამომუშავებული თანხა ერთად ჯამდება და იყოფა თანატოლად. განა რომელიმე მათგანს მისცემს სინდისი უფლებას იზარმაცოს? ყველა ცდილობს თანაბრად იშრომოს. ეს კი უთუოდ დიდი მიღწევაა.

ნანული გუკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ ზედგინიძე

# დედის გული

მწერალ ელიზბარ ზედგინიძეს 70 წელი შეუსრულდა. ნახევარი საუკუნეა იგი ემსახურება ქართულ საბჭოთა ლიტერატურას. ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს მის რომანებს: „მზის ამოსვლამდე“, . „იღვიძებენ მთები“, „დაუვიწყარი ზაფხული“, „გაზაფხული დაიწყო ადრე“, „უბატონო ქვეყანა“. ასეთივე პოპულარობით სარგებლობენ მკითხველთა წრეებში ელიზბარ ზედგინიძის მოთხრობები: „ვერცხლის ქამარი“, „ოქროს თუმნიანი“, „შორეულ ცის ქვეშ“ და სხვა. ელიზბარ ზედგინიძის შემოქმედების მარადი თემა არის სამშობლო, მისი წარსული და მისი დიდებული თანამედროვეობა.

ვულოცავთ ელიზბარ ზედგინიძეს მისი დაბადების 70 წლისთავს.



ელიზბარ ზედგინიძე

მარჯნის კრიალოსანს მარცვლავდა თავდახურული მოხუცი ქალი. ის აივანზე იდგა და გასცქეროდა ვაშლისა და ალუბლის ხეხილის უკანასკნელ ფოთლებს, რომლებიც შემხმარიყვნენ და ცვიოდნენ. მსუბუქი, სიფრიფანა ლეჩაქი ირთოდა მის მხრებზე. ბაღდადის გარეთ ჩამოშვებული თეთრი კავები სახეს უნათებდნენ. შინდისფერ ხავერდის ჩიხტზე ჩაკონილ ოქროს შუბლის ქინძისთავში ხუთი ალმასის თვალი უბრწყინავდა. მოხუცს ხუთი ვაჟი ჰყავდა, ხუთივე ალმასებივით იყვნენ. მეხუთე ვაჟი რომ ეყოლა, გახარებულმა მამამ ბედნიერი დედა ამ შუბლის ქინძისთავით დაასაჩუქრა და ნაბოლარას გიორგი დაარქვა.

მარჯნის კრიალოსანს მარცვლავდა ხუთი ვაჟის დედა. მის შემხედვარეს ეგონებოდა, ხეხილთა შტოებში ისვენებსო მისი თვალი. მაგრამ ბაღნარი მისთვის მხოლოდ ბუნდოვანი სურათი იყო. ის გასცქეროდა გზას. აი, ამ გზით, ამ ხეხილთა შორის მიდიოდნენ მისი ვაჟები. მაშინ ზაფხული იყო და კარგად ახსოვს მას, ძირს დაცვენილ ფოთლებზე და ყვავილებზე მიაბიჯებდნენ ისინი. დედა ღიმილს აფრქვევდა მათ... ღიმილით ულოცავდა გზას...

არასოდეს გულში დარდს არ გაივლებდა.

შუბლის ქინძისთავში ჩასმულ ალმასის თვლებს მუდამ სათუთად უვლიდა, რომელიმე მათგანი არ ამოვარდესო, ცუდი ნიშანი არ იყოსო, იდღეგრძელონო შვილებმა. არც თალხები უყვარს. ყოველთვის მხიარული ფერის ტანსაცმელს იცვამს. თეთრ ბაღდადსა და არშიიან ლეჩაქზე ცისფერი ქინძისთავები უციმციმებენ.

დღეს გიორგობაა. ღრუბლებშერეული ნაცრისფერი დილაა.

აივნიდან მოჩანს სოფლის შარაგზა. ხალხი მიემართება წმინდა გიორგის ეკლესიისაკენ: სალოცავში შესაწირავი მიაქვთ. ხუთი ვაჟის დედაც მზად არის წასასვლელად. ეზოში, ვაშლის ხეზე მიბმულია საკლავი, თოვლივით თეთრი ბატკანი. ღვინით სავსე რუმბი პირალმა გდია კარის ზღურბლთან. თონეში კი ჯერაც არ ჩამქრალა ის ნაღვერდალი, რომელმაც ფაფუკი და სურნელოვანი პურები დააცხო. ოჯახის მამა, ბრგე და ჯანიანი გლეხკაცი, უღელში ხარებს აბამს. ურმით მიდის გიორგობაზე. მისი ვაჟის დღეობაც არის, ნაბოლარასი, ტკბილზე უტკბილესის.

— ფიდო, რა დაგემართა, რით ვერ შეაბი აქამდე ხარები? — გამოელაპარაკა თავდახურული ქალი.

— ახლავე, დედაკაცო, ახლავე გამოვიყვან ურემს! — უპასუხა ფიდომ.

დედას თვალი მაინც გზისკენ ეჭირა.

ბევრჯერ გაუხარებია ამ გზას დედის გული.

სოფლის გზიდან ახლაც ვიღაცამ გადმოუხვია, ბაღის ჭიშკარი შემოაღო და შემოდგომისაგან გაძარცულ ხეივანში ფოსტალიონი შემოვიდა.

ფოსტალიონს ჩვეულებად ჰქონდა, ეზოდანვე ასძახებდა მოხუცს, თუ რომელი შვილის წერილი იყო. დღეს თავჩაღუნული ადის კიბეზე, თითქოს წერილის იტანა უმძიმსო.

განცვიფრებულმა დედამ შორიდანვე მღელვარედ იკითხა:

— რომლის წერილია, შვილო?

— არც ერთისა არ არის, დედი, ამ წერილს ვიღაცა სხვა გზავნის! — უპასუხა ფოსტალიონმა.

უნებურად შუბლი შეეკრა მოხუცს. როგორ თუ ვიღაც. ნუთუ მისი რომელიმე შვილი?! — გაიელო უცებ და ფიქრის დამთავრებაც ვერ გაბედა.

მდუმარედ ჩამოართვა წერილი და მოხუცისათვის ჩვეული ირთოლვით ძლივს გადახსნა სამკუთხედად დაკეცილი ბარათი. მშფოთვარედ, მაგრამ მაინც დამარცვლულად წაიკითხა. შეკრული წარბები და შეჭმუხნული შუბლი თანდათან გაეხსნა.

„ძვირფასო მშობლებო, ამ წერილს გწერენ თქვენი ვაჟის გიორგის ამხანაგები. სწორედ ახლახან დამთავრდა ბრძოლა. მიწურში შევიკრიბენით და გადავწყვიტეთ ახლავე მოგწეროთ და შეგატყობინოთ თქვენი შვილის ვაჟკაცობის ამბავი. გუშინ პარტიაში ვღებულობდით. როდესაც მას სიტყვა მივეცით, მან ღიმილით შემოგვხედა:

— ძვირფასო ამხანაგებო!.. — თქვა თქვენმა შვილმა და გაჩუმდა. საჭირო სიტყვები ვერ მოძებნა და დაუმატა: — ერთს ვიტყვი მხოლოდ, მტერს რომ შევებმებით, დაინახავთ, როგორ ვიბრძოლებ! — მეორე დღეს მართლაც განგვაცვიფრა ყველა. ვაჟკაცურად იბრძოდა. მტერი გავაქციეთ. ახლა ჩვენ ყველანი მიწურში ვსხედვართ. გიორგი დაღლილია და სძინავს. ჩვენ გაყუჩებული ვართ. ვდუმვართ. ვუფრთხილდებით მის ძილს. მისი გაღვიძება არ გვინდა. დაე, დაისვენოს დაღლილმა და ნაბრძოლმა.!“

მოხუცს მკრთალი ტუჩები ღიმილმა შეულამაზა. შუბლიც გაეხსნა. ფოსტალიონმა, თითქოს გულიდან მძიმე ლოდი მოიშორაო, ღრმად და მძიმედ ამოისუნთქა. დედამ შესცინა, მერე შებრუნდა და ღვინით სავსე ხელადა გამოიტანა. სუფრაზე დაუდგა, ვაჟი დაალოცვინა და გაისტუმრა.

გამობრუნდა და ეზოში ჩავიდა. ჩარდახგადაფარებული ურემი მზად დაუხვდა, ვაჟის წერილი თამამად მიაწოდა ფიდოს.

— დედაკაცო, რას მალავდი, — უსაყვედურა ქმარმა და სიხარულით დაეწაფა შვილის ამბავს. იმანაც გაიხარა.

— ეგ რაღაა?.. — იკითხა ფიდომ, როდესაც ხელში ქაღალდის მეორე ნაკეცი შენიშნა.

— ჩვენ რომ გავიხარეთ, განა გიორგის კი არ უნდა გახარება?

ცოტა ხნის შემდეგ ურემი ჭრიალით გაუდგა გზას.

ათიოდე დღის შემდეგ, მიწურში, მებრძოლები დედის წერილს კითხულობდნენ:

„საყვარელო შვილებო, წმინდა გიორგის ძალა ნუ მოგეშალოთ, იცოცხლეთ და გაიმარჯვეთ. მადლობელი ვარ, ჩემს შვილს აგრე რომ უვლით, ოღონდ, შვილებო, თუ ჩემი გიორგი ძლიერ დაღლილი იყო, გაოფლიანებული იქნებოდა, ჰაზარის დახურვა ხომ არ დაგავიწყდათ! არ გამიცივდეს ჩემი პატარა. სხვა დროს კარგად მოუარეთ ერთმანეთს!“..

მიწურში მხიარული სიცილი კარგა ხანს არა ცხრებოდა, მაგრამ როდესაც სიცილი მიწყდა, ყველანი უნებურმა ფიქრმა შეიპყრო: დედის წერილი რომელ მათგანს უნდა შეენახა გულის ჯიბეში? არც ერთი არ სთმობდა მას.

მართლაც, ის წერილი ყველა მებრძოლს ეკუთვნოდა.

1948 წ.

*) მოთხრობა გადმობეჭდილია მწერლის კრებულიდან.



# ყვავილთა შორის ყვავილი

ქუჩაში მაღალი, ტანკენარი ქალი მიდიოდა. გვერდით რამდენიმე მოსწავლე გოგონა მიყვებოდა. კი არ მიდიოდნენ, მიფრინავდნენ მის გვერდით. ეტყობოდათ, რაღაც ახარებდათ.

ქარელის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების შენობასთან შეჩერდნენ. გოგონებმა ყვავილების ლამაზი თაიგული, ფრთხილად რომ მიჰქონდათ მკერდზე სათუთად ახუტებული, ახალგაზრდა ქალს გადასცეს. მან სიყვარულით ახედა გოგონებს, უსიტყვოდ მიეალერსა და წყნარად თქვა:

— ძალიან მიყვარს მინდვრის ყვავილები, თქვენ ეს იცით. გმადლობთ... ოღონდ, ირმა ამჯერად საავადმყოფოში აირბინეთ და თაიგული თეას დედას მიართვით.

გოგონებს არ გაჰკვირვებიათ. ლილი მასწავლებელი ხშირად აკითხავდა თეას დედას, გოგონების ხელითაც უგზავნიდა მოსაკითხს. თეა ბავშვთა გამაჯანსაღებელ სამკურნალო სანატორიუმში ისვენებდა, ხოლო მისი სნეული დედა მოწყობინებული და იმედიანი იწვა საავადმყოფოში, — ამაში ლილი მასწავლებლის ხელი ერია, თქმით კი ამაზე არასოდეს არაფერს ამბობდა.

გოგონები დაემშვიდობნენ ახალგაზრდა ქალს და ხელიხელჩაკიდებულნი სირბილით თავქვე დაეშვნენ.

გზადმიმავალმა ჩაფსკვნილმა თავხოტორა ბიჭმა თითები პირში ჩაიდო და დაუსტვინა. გოგონებმა რომ არ მიიხედეს, უნდა დასდევნებოდა, მაგრამ ბიჭუნა შევაჩერე.

— საქმე გაქვს რამე იმ გოგონებთან? — ვკითხე მას და ჩემსკენ მოვაბრუნე.

— არა, არაფერი... — დაიბნა ბიჭი.

— იცნობ?

— ერთად ვსწავლობთ, თანაკლასელები არიან, — მიპასუხა შეცბუნებულმა.

— ის ახალგაზრდა ქალი, გოგონები რომ ახლა დასცილდნენ, თუ იცი, ვინ არის?

ბიჭმა ჯერ გაკვირვებით შემომხედა, მერე გულლიად შემომცინა და მოწიფულივით მითხრა:

— ჩემზე უკეთ არავინ იცის, ვინ არის ის ქალი.

— მეზობელია შენი?

ბიჭმა თავი გააქნია...

— ბავშვები ლილი მასწავლებელს ეძახიან, ჩემთვის კი — დედაზე მეტია. აი, აქვე მუშაობს, ბავშვთა ოთახის ინსპექტორია, — თქვა მან და თითი განყოფილების შენობისაკენ გაიშვირა.

— კიდევ რას მეტყვი ლილი მასწავლებელზე? — ვკითხე მას.

— ლილი მასწავლებელი ყველას ძალიან უყვარს. — ბიჭმა ხალათის ჯიბიდან სტამბური წესით დაბეჭდილი ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო.

— ლილი მასწავლებელი წელს მესამედ აირჩიეს სადაბო საბჭოს დეპუტატად. ჩვენმა სკოლელებმა ზეპირად იციან მისი ბიოგრაფია. აჰა, იქნებ, თქვენც გამოგადგეთ და დაბეჭდილი ფურცელი ხელში მომაჩეჩა, თვითონ კი კისრისტეხით მოუსვა იქითკენ, საითაც თანაკლასელი გოგონები წავიდნენ.

ფურცელზე სადაბო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია იყო დაბეჭდილი.

ლილი გელაშვილი 1936 წელს დაბადებულა ხაშურის რაიონის, სოფელ ბრილში. მიუღია უმაღლესი პედაგოგიური განათლება ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1968 წლიდან მუშაობს ქარელის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ბავშვთა ოთახის ინსპექტორად. თავის სამუშაო უბანზე თვალსაჩინო წარმატებებისათვის ბევრჯერ ყოფილა წახალისებული. რაიკომის ბიუროსა და სადაბო საბჭოს აღმასკომის წევრი, ამასთანავე რაიგანყოფილების პარტორგანიზაციის მდივანია.

ვინ იცის, რამდენი დანგრეული ოჯახი აღადგინა ლილიმ, რამდენ მოზარდს დაუბრუნა სწავლისა თუ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სურვილი, რამდენს გამოუსწორებელ ლოთს აალებინა ხელი ულირს საქციელზე და კვლავ ადამიანად აქცია.

ვიყავით სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებელში, სადაბო საბჭოში, ვესაუბრეთ პატიმრობიდან განთავისუფლებულ ახალგაზრდებს, რომლებიც ლილიმ მოაწყო სამუშაოზე, ვნახეთ რამდენიმე დიასახლისი, რომელთა შვილებს ლილი გელაშვილმა დაუბრუნა ოჯახიდან წასული მამები და გავოცდით. გულახდილად უნდა ითქვას, რომ თუ რესპუბლიკაში არიან ბავშვთა ოთახის კარგი ინსპექტორები, ლილი გელაშვილთან ისინი მაინც უსათუოდ იპოვიან რაღაც განსაკუთრებულს, რაც მათ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში არა აქვთ.

ლილის 40-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების აღრიცხვის ჟურნალი აქვს. ყოველ ჟურნალში ბავშვთა ოთახის ინსპექტორის პრაქტიკული საქმიანობაა ასახული. დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად იგი იყენებს ადგილობრივ პრესას თუ რადიოს, გასროლილ ტყვიასავით უფრთხიან მის კრიტიკულ წერილებს და ყოველნაირად ცდილობენ არ გახდნენ პრესაში მსჯელობის საგანი. ლილი გელაშვილი სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკური ღონისძიების გასატარებლად ლექციურ პროპაგანდას იშველიებს. მის შინაარსიან მოხსენებებს, საუბრებს, რჩევა-დარიგებებს მუდამ ხალხმრავალი აუდიტორია ჰყავს. ალბათ ამ დიდი შრომის შედეგია, რომ მიმდინარე წელს არასრულწლოვანთა შორის არცერთი დანაშაული არ მომხდარა ქარელის რაიონში.

ლილი გელაშვილმა კარგად იცის, რამდენმა დაამთავრა რაიონში საშუალო თუ რვაწლიანი სკოლა, პროფტექნიკური სასწავლებელი, ვის როგორა აქვს გამიზნული თავისი მომავალი ცხოვრება და შრომითი საქმიანობა, ვის სჭირდება მისი სასარგებლო რჩევა-დარიგება, კონტროლი, შუამდგომლობა, მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერა და დაუზარებლად, გულმხურვალედ ეხმარება მათ.

ეთერ ჩილაჩავა



ლ. გელაშვილი მეუღლესა და შვილებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვი-გორკის ქუჩა



მოსკოვი, გორკის ქუჩა... დედაქალაქის მთავარი არტერია. ამ ქუჩაზე ბევრი მნიშვნელოვანი შენობა დგას. ერთ-ერთი მათგანი კი მემორიალური დაფების სიმრავლით გამოირჩევა.

— მე რომ ნება მომცენ, ამ სახლს კიდევ ერთ მემორიალურ დაფას შევმატებდი, რომელზედაც სიამაყით წავაწერდი: — „აქ ცხოვრობს უებარი მკურნალი, ჯადოსნური ხელისა და ღიმილის მქონე ვარდო მიხეილის ასული მაქსიმელაშვილი, რომელმაც ასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა, რომელმაც მომაკვდავი გამომაჯანმრთელა და დამაბრუნა ცოლთან, შვილებთან, მეგობრებთან... სიცოცხლესთან".

ეს სიტყვები იაროსლაველ მუშას ივანე ფეოდოროვს ეკუთვნის. — როცა მოსკოვში მოვხვდები, ჩვეულებად მაქვს, მოვინახულო ვარდო მიხეილის ასული და მადლობა გადავუხადო, — სახეგაბრწყინებული ამბობს ივანე დიმიტრის ძე და თან იუმორნარევი ღიმილით დასძენს: — მგონი, თავიც შევაბეზრე ვარდო მიხეილის ასულს ამდენი გაუთავებელი მადლობებით, მაგრამ რა ვუყოთ, ალბათ ესმის ჩემი, სხვანაირად არ შემიძლია...

ეს იყო დიდი ხნის წინ. მაშინ ვარდო მაქსიმელაშვილი უბნის ექიმად მუშაობდა. ტიფი გაუჩნდათ ივანესა და მის მეუღლეს. ვარდომ დროზე იგრძნო მოსალოდნელი უბედურება, ბავშვები განაცალკევა მშობლებისაგან. ცოლ-ქმარს ღამეებს უთევდა, ვიდრე საშიში ავადმყოფობა მთლიანად არ იქნა უკუგდებული.

ვინ იცის, რამდენი ადამიანის სიცოცხლე უხსნია ვარდოს საფრთხისაგან. ვარდო მაქსიმელაშვილი — ეს სახელი ახლა მთელმა მოსკოვის სამედიცინო სამყარომ იცის და განა მხოლოდ სამედიცინო სამყარომ?

— შენ, უთუოდ, კარგი ექიმი გახდები, მაგრამ არანაკლები ისტორიკოსი ან ფსიქოლოგი იქნებოდი,—აგონდება სამედიცინო ინსტიტუტის მაშინდელი რექტორის შალვა მიქელაძის სიტყვები. მაშინ ვარდო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი იყო.

პროფესორები ნათიშვილი, ალადაშვილი და ჟღენტი აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი ნიჭიერებით. ვარდო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის და რესპუბლიკის კომკავშირულ ცხოვრებაში. სულ მალე, მეორე კურსზე იგი პარტიის წევრობის კანდიდატი გახდა, მუშაობა დაიწყო კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, საიდანაც გადმოიყვანეს მოსკოვში. აქ მან ოპერატიულ სკოლაში განაგრძო მუშაობა და დროებით სამედიცინო ინსტიტუტში სწავლა შეწყვიტა.

1940 წელს ინჟინერ-მეტალურგ დავით მატრიძეს დაუკავშირა თავისი ცხოვრება. შემდეგ... თურქეთი, სტამბოლი. ვარდო საელჩოს მდივანია, მეუღლე — დიპლომატების სტაჟიორი. ომს იგი მოსკოვში შეხვდა. მაშინ ეყოლა პირველი ქალიშვილი გურანდა. ვარდო შვილს ზრდის და თან სწავლას განაგრძობს მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტში, წარმატებით ამთავრებს მას და მუშაობას იწყებს მოსკოვის კრასნოპრესნიას რაიონის 112-ე პოლიკლინიკის უბნის ექიმად. იგი, ამავე დროს, პოლიკლინიკის პარტბიუროს მდივანიცაა. 1960-დან 1962 წლამდე რაიონში, სადაც, ვარდო მუშაობდა, ორჯერ იფეთქა გრიპის და ყვავილის ეპიდემიებმა. ვარდო 3 500 კაცს ემსახურებოდა, დღე და ღამეს ასწორებდა, რათა ამ საშიშ დაავადებებს არ მისცემოდა გავრცელების საშუალება.

„ვარდო მიხეილის ასულო, — წერდა იმ დროს ვ. მაქსიმელაშვილს ყოფილი პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე შელაგუროვი, — როგორ ვამაყობ იმით, რომ თქვენ, ოდესღაც, ჩემი სტუდენტი იყავით. თქვენ, გარდა დიდი ცოდნისა, დიდი ენერგიაც გაგაჩნიათ და ამ ენერგიას მთლიანად ხალხს ახმართ".

ვარდოზე ლაპარაკობდა პრესა, ყველაზე უკეთესად კი საქმენი მისი. სწორედ ამიტომ იყო, რომ უბნის ექიმი 1962 წელს მოსკოვის ყველაზე უფრო თვალსაჩინო, 112-ე საჩვენებელი პოლიკლინიკის მთავარ ექიმად დააწინაურეს.

112-ე პოლიკლინიკა 44.000 კაცს ემსახურება. იგი ერთ-ერთი დიდი და ყველაზე მოწინავე პოლიკლინიკაა მთელს მოსკოვში.

— ჩვენი პოლიკლინიკა ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა, მაგრამ, რაც მას სათავეში ჩაუდგა თქვენი თანამემამულე და ჩვენი ღირსეული კოლეგა და მეგობარი ვარდო მაქსიმელაშვილი, მან მთლიანად იცვალა სახე, — გვეუბნება თერაპევტი ვიქტორ ლიხაჩოვი.

პოლიკლინიკაში 17 განყოფილებაა. ვარდო მაქსიმელაშვილის ინიციატივითაა შექმნილი ლოგოპედიური და სურდოლოგიური განყოფილებები, ალერგოლოგიური და გერიატრიული კაბინეტები, რომლებიც მეტად საინტერესო მუშაობას ეწევიან.

— გერიატრიული კაბინეტი,—ეს ერთადერთი კაბინეტია მთელს მოსკოვში და იცით რამ განაპირობა მისი შექმნის აუცილებლობა სწორედ ჩვენს პოლიკლინიკაში?—გვეუბნება ვ. მაქსიმელაშვილი და განაგრძობს, — კრასნოპრესნიას რაიონი ერთ-ერთი უძველესი რაიონია ჩვენი დედაქალაქისა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მთელს დედაქალაქში მცხოვრებ უხუცესთა (60-დან 80 წლამდე და ზევით) 40 პროცენტი სწორედ კრასნოპრესნიას რაიონში ცხოვრობს. ეს კაბინეტი მოსახლეობის სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის გახანგრძლივებაზე იმუშავებს.

— ვნახოთ, — როგორი იქნება შედეგი, — ამბობს ვ. მაქსიმელაშვილი და დასძენს: — თუ წარმატებებს მივაღწიეთ, ასეთი კაბინეტი გაიხსნება საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში და მათ შორის, ალბათ, თბილისშიც, საქართველოში ხომ უამრავი ადამიანი ცხოვრობს; რომელთა ასაკი ზოგჯერ 100 წელსაც კი აღემატება.

არ შეიძლება არ მოიხიბლო ჩვენი მასპინძლის საუბრით, მაგრამ ჩვენ ამჯერად პოლიკლინიკის დათვალიერება გვსურს. აი, ლოგოპედ მარგარიტა პავლოვსკაიას და მედდა ანა სალინას ლოგოპედიურ კაბინეტში შევყავართ. აქ ლოგოპედს უკვე უცდის პაციენტი სვეტლანა სამოილოვა.

— სვეტლანა ანატოლის ასული მანქანის კატასტროფაში მოჰყვა, — გვიყვება მარგარიტა სერაფიმის ასული, — რის შედეგადაც დაუზიანდა თავის ტვინი და ვერ ლაპარაკობდა, დაკარგული ჰქონდა შრომის უნარი. ძალიან განვიცდიდით, იგი ხომ ჯერ სრულიად ახალგაზრდაა. მაგრამ აი, დავუწყეთ სვეტლანას მკურნალობა, გამოვიყვანეთ საშინელი აგონიიდან, მერე კი შევეცადეთ მისთვის დაგვებრუნებინა ლაპარაკის უნარი. ბევრი ვიმუშავეთ. მკურნალობიდან მეორე თვეს სვეტლანამ წარმოსთქვა პირველი სიტყვა: — ტელეგადაცემა. ძალიან გაგვიხარდა. თანდათან აღუდგა შრომის უნარიც და მეხუთე თვეზე მან უკვე „ამოიდგა ენა".

სვეტლანა ახლა თავის მკურნალს უზის. მკურნალი შეკითხვებს აძლევს, აინტერესებს ხომ არ გადაიღალა სვეტლანა მუშაობით.

— ასეთი მკურნალობის შემდეგ ავადმყოფი არ უნდა გადაიღალოს, თორემ შეიძლება იგი კვლავ „დამუნჯდეს", კვლავ დაკარგოს შრომის უნარი, — გვეუბნება მარგარიტა სერაფიმის ასული.

ჩვენ კი, თითქოს, გვიჭირს დავიჯეროთ, რომ სვეტლანა სამოილოვა, ეს ხალისიანი და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალი, რამოდენიმე თვის წინ ვერც კი ლაპარაკობდა.

სვეტლანას გავესაუბრეთ.

— ამ პოლიკლინიკას მე ბედნიერების სასახლეს ვუწოდებ: აქ მე ჭეშმარიტად ბედნიერება და სიხარული დამიბრუნდა. ვმუშაობ ცენტრალური ტელევიზიის უფროს ინსპექტორად, რომელსაც მეგონა ვეღარ დავუბრუნდებოდი.

— ჩვენთვის ახლა გასაგებია, თუ სვეტლანამ პირველად რატომ წარმოსთქვა სიტყვა „ტელეგადაცემა" ახლად „ენის ამოდგმის დროს", არა? — ღიმილით გვეუბნება ლოგოპედი მარგარიტა პავლოვსკაია და ერთგვარი სინანულით დასძენს: — ჩვენ ძირითადად, 16-დან 30-32 წლის ადამიანებს ვმკურნალობთ. ეს ერთი შეხედვით იმით აიხსნება, რომ ტრავმას, ხშირად სწორედ ახალგაზრდები ღებულობენ, ამიტომ გაათკეცებული ენერგიით ვიბრძვით, რათა ადამიანმა ტანჯვაში არ გალიოს თავისი სიცოცხლის ეს ყველაზე ლამაზი ასაკი.

ლოგოპედიური კაბინეტიც „ახალგაზრდაა", მაგრამ მან უკვე მრავალ ადამიანს დაუბრუნა შრომის უნარი, მრავალ მათგანს ამოადგმევინა ენა ხელახლა. აი, ზოგიერთი მათგანი: მარკ იაროვი — დონეცკელი პედაგოგი, მოსკოვში ყინულზე რომ დაუსხლტა ფეხი და მძიმედ დაშავდა, ტანია რემიზოვა — მოსკოველი სტენოგრაფისტი, ივანე ანისიმოვი — მხატვარ-დეკორატორი და სხვა.

არიან ტრავმაგადატანილი ადამიანები, რომლებმაც მეტყველების უნარი მთლიანად დაკარგეს. მათ ლოგოპედი ვეღარაფერს შველის, მაგრამ სამაგიეროდ სურდოლოგიური კაბინეტი უწევთ კარგ სამსახურს.

აი სურდოლოგი სოფიო დავიდოვა, რომელიც ავადმყოფთა ერთ ჯგუფს ასწავლის ტუჩით კითხვას.

ავადმყოფი გიყურებს ბაგეებზე და ბაგეთა მოძრაობით ხვდება შენს ნათქვამ სიტყვებს.

პოლიკლინიკაში ჩქეფს ცოცხალი და სისხლსავსე ცხოვრება. ვარდო მაქსიმელაშვილი ყველაფერის ინიციატორი და ხელმძღვანელია. პოლიკლინიკის მთავარი ექიმის კაბინეტის კედლები სავსეა ჩარჩოებით, რომლებშიც ქების სიგელებია ჩასმული. ჯანმრთელობის სამინისტრო, პარტიის კრასნოპრესნიის რაიკომი, წითელი ჯვრის ორგანიზაცია, პროფკავშირული ორგანიზაციები... ვიღა არ აჯილდოებს ამ სახელოვანი პოლიკლინიკის სახელოვან კოლექტივს. პოლიკლინიკას სამუდამოდ გადაეცა წითელი დროშა. ეს მაღალი ჯილდო მას პარტიის კრასნოპრესნიას რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა გადასცეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

პოლიკლინიკაში ხშირად ნახავთ შორეული ვიეტნამიდან ჩამოსულ ექიმებს.

— ჩვენი პოლიკლინიკა ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების კოლექტიური წევრია, — გვეუბნება ალერგოლოგი ბორის პლაქსინი.

ვიეტნამელ ექიმებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ და საბჭოთა ექიმების გამოცდილებას, მიღწევებს აცნობენ პოლიკლინიკის ექიმები, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები: ეკატერინე კრილოვა, ნიკოლოზ ამეძჩენკო და სხვები.

ჩვენს წინაა ამერიკის, ინგლისის, ვიეტნამის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის გაზეთები, რომლებიც აღფრთოვანებულ სტატიებს უძღვნიან პოლიკლინიკის მუშაკთა დაუღალავ შრომას, მათს მიღწევებს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე.

აი, პოლონეთის სამედიცინო გაზეთი: „ჯანმრთელობის ფრონტი". მასში გამოქვეყნებულია ნარკვევი: „პოლიკლინიკა ბოლშაია ბრონნაიაზე", აქვეა პოლიკლინიკის მთავარი ექიმის ვარდო მაქსიმელაშვილის ფოტოსურათიც.

„ვარდო მაქსიმელაშვილს აქვს მომაჯადოებელი ღიმილი, რომელიც ჰპირდება ავადმყოფსაც და ყველა მკურნალს, ვინც კი ადამიანს ტკივილი უნდა შეუმსუბუქოს". წერს ნარკვევის ავტორი.

ვარდო მაქსიმელაშვილი ნამდვილად სასახელოდ ატარებს ქართველი ქალის, ქართველი ექიმის სახელს მოსკოვში. აი, ამის დასტური:

„ძვირფასო ვარდო მიხეილის ასულო, — ვკითხულობთ ბარათში, — სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნო მხურვალედ მოგესალმება თქვენ. ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს კეთილ დამოკიდებულებას კომპოზიტორებისადმი, რომლებიც მკურნალობენ იმ პოლიკლინიკაში, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ.

გთხოვთ ჩვენი სახელით მადლობა გადასცეთ თქვენი პოლიკლინიკის ყველა ექიმს, რომელთაც ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა თავიანთი ცხოვრების უპირველეს ამოცანად გაუხდიათ". წერილს ხელს აწერენ სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი ტ. ხრენიკოვი და მდივნები: ა. ხაჩატურიანი, რ. შჩედრინი, ა. პახმუტოვა.

აქვეა პარტიის კრასნოპრესნიას რაიკომის პირველი მდივნის პისარევის სამადლობელო ბარათიც. და ეს არც გასაკვირია, ვ. მაქსიმელაშვილი ხომ მისაბაძი მაგალითია იმ 280 მედმუშაკისათვის, რომლებიც ამ პოლიკლინიკაში მუშაობენ და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნავენ.

ვარდო მაქსიმელაშვილი მარტო კარგი მკურნალი როდია. იგი არის კარგი დედა და კარგი ბებია.

მისი უფროსი ქალიშვილი გურანდა მატარიძე ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კაბინეტის მეცნიერ მუშაკია, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან დაიცვა დისერტაცია, გახდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი და ახლა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს.

უმცროსი ქალიშვილი რუსუდანიც დედის კვალს გაჰყვა. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაამთავრა ორდინატურა ენდოკრინოლოგიის განხრით და ახლა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის ცენტრალური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიურ განყოფილებაშია.

ექიმობაზე ოცნებობს გურანდას ვაჟი, ცელქი და მოუსვენარი იგორი — ვარდო მიხეილის ასულის ერთადერთი შვილიშვილი, რომელიც ბალიშზე სწავლობს ნემსის გაკეთებას.

ყოველთვის, როცა კრემლის ლალის ვარსკვლავები აინთება და მთელი დღის გარჯით დაღლილი დედა და შვილები სახლში ბრუნდებიან, ერთმანეთს უზიარებენ დღის შთაბეჭდილებებს. აქ ძალიან ხშირად კოლეგები კიდეც კამათობენ ხოლმე მედიცინის ცალკეულ საკითხებზე.

და, რა თქმა უნდა, როგორც პოლიკლინიკაში, სახლშიც გადამწყვეტ სიტყვას ვარდო მიხეილის ასული ამბობს.

**ბერდია ბერიაშვილი,**
მოსკოვი-თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მშობლიურ ენაზე შეყვარებული

ჩემთვის რომ დაევალებინათ თავისუფალი თემა „სოფლის ახალგაზრდა მასწავლებლის სახე“ დაწერეთ, უთუოდ ოცდათხუთმეტი წლის წინათ სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის საშუალო სკოლაში იმხანად მისულ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელზე მანია უთრუთაშვილზე დავწერდი.

მეხსიერებას შემორჩა შავგვრემანი, მოგრძო, მბრწყინავთვალებიანი, საშუალო ტანის, ძალუმად მკვირცხლი ქალის სახე. აი, იგი დადის მერხებშუა და თითქოს ფეხებში ზამბარები აქვსო, მთელი ტანით მალიმალ აიწევა და დაიწევა, ფეხის თითებზე დადის და თან ამაღლებული ტონით ყელმოღერებული ამბობს:

„გათენდა, ცეცხლის მზე აენთო,
აცურდა... დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო
ანკარა... დროშები ჩქარა!“

მბრწყინავი წყლიანი თვალებიდან იღვრებოდა ის ცეცხლი, რომელიც მოსწავლეებს აღაფრთოვანებდა, დაძაბავდა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარულით აათრთოლებდა.

ნათქვამია: სწავლება მოგზაურობაა უცნობ სამყაროში, და მანია მასწავლებელს ჰქონდა ის განსაკუთრებული უნარი, რომელიც ასე სჭირდება ახალგაზრდა თაობის აღმზრდელს, ის ცოდნა და საგნის სიყვარული, რომელიც ასე აუცილებელია ამ უცნობ სამყაროში სამოგზაუროდ. მანია მასწავლებელს ჰქონდა ის მადლი, რომელიც ქართული ლიტერატურის სწავლებისათვის ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს. მან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პოეტების თითქმის ყველა ლექსი ზეპირად იცოდა და გაკვეთილზე ისე წარმოთქვამდა, რომ არ შეიძლება არ მოგესმინა, ქართული არ შეგყვარებოდა.

მასწავლებელი მარტო კლასში როდი შრომობს. ის შინაც რვეულებს ებრძვის, დიახ, ნამდვილად ებრძვის რვეულებს და მათგან იგებს მოსწავლის ცოდნას.

მანია მასწავლებელს ჰქონდა იმის უნარი, რომ ნაწერიდან ამოეკითხა არა მარტო ის, თუ როგორ იცის მოსწავლემ თემა, არამედ ისიც, თუ როგორ იცის მთლიანად საგანი. იგი ახლა ხშირად ამბობს ხოლმე: შეიძლება მოსწავლე ზეპირად კარგად ვერ მეტყველებდეს, ანდა მორცხვობის გამო უჭირდეს ლაპარაკი, მასწავლებელმა მისი ნაწერიდან უნდა შეიტყოს, როგორ იცის მთლიანად საგანი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ზოგიერთ მოსწავლეს, რომელიც გაკვეთილზე ენამჭევრობით არ გამოირჩეოდა, ხოლო საკლასო ნაშრომი ჩინებული ჰქონდა, ზეპირშიც წაუმატებდა ხოლმე ნიშანს.

ახლა, ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ რომ ვეკითხებით მასწავლებელს, რა არის მთავარი მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლისათვისო, ასე გვიპასუხებს ხოლმე: პირველ რიგში ქართული ლიტერატურის სიყვარული, სიყვარული და კიდევ სიყვარული თავდავიწყებამდე. ასევე უნდა გიყვარდეს მოსწავლე. და თუ ეს გაქვს, მოსწავლეთა გულებსაც იოლად დაიპყრობ და ამ სიყვარულისათვის ისინი უთუოდ შეგიყვარებენო

თქვენგან ვიცით — ორი რამ არის პედაგოგისათვის კიდევ მთავარი: შინ, მარტოობაში შრომა და მოსწავლეებთან კლასში ერთობლივი შრომა. პირველი მძიმეა, მომქანცველი, მეორე — აღმაფრთოვანებელი, ხალისიანი. თქვენგანვე გაგვიგონია: „რვეულებს რომ ვფურცლავ, მოსწავლეთა სახეები თვალწინ მიდგას და მათი ნაშრომების სწორებისას ვეჩურჩულები, ზოგს ვტუქსავ, ზოგს ვარი-

## რევოლუციური წარსულიდან



# მცირე მოგონება

900-იანი წლების გარიჟრაჟზე რუსეთში რევოლუციური ბრძოლების გამძაფრებამ თავისებური გამოძახილი ჰპოვა მთელ საქართველოში, კერძოდ, გურიაში. თვითმპყრობელი მონარქისა და მისი ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური მთავრობის მოხელეთა წინააღმდეგ დაირაზმა გურული გლეხობა, სოფლის პროგრესული ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა.

გურიის რევოლუციურ ბრძოლებს უნაკლოდ ხელმძღვანელობდნენ რსდმპ გურიის კომიტეტი, ადგილობრივი უჯრედები და კომიტეტები, ე. წ. გლეხთა კომიტეტები, ხალხის მიერ არჩეული ასისთავები და ათისთავები, რაიონის წარმომადგენლები.

ყოველ სოფელსა და დაბას ჰყავდა რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლები. ასკანის საზოგადოებაში ასეთები იყვნენ: დათიკო შევარდნაძე, ტასია ვასილის ასული კალანდაძე-სიამაშვილისა, ტასიას მეუღლე — თეოფილე ესეს ძე სიამაშვილი, ისიდორე სილოვანის ძე თალაკვაძე; მასწავლებლები: მიხეილ შარაშიძე, ნოე ქურიძე-ზომლეთელი (შემდგომში ცნობილი მწერალი, იუმორისტული ჟურნალის „ნიანგის" რედაქტორი), ვალერიან ჯაველიძე და ბევრი სხვა.

ისინი მოქმედებდნენ ორგანიზებულად, ზუსტად ასრულებდნენ უჯრედისა და ზემდგომი პარტიული ორგანოების მითითებებს.

პარტიული უჯრედის დავალებით ტასია კალანდაძე-სიამაშვილისამ და მისმა მეუღლემ — თეოფილე სიამაშვილმა მეტად მოხერხებულად ჩაშალეს მთისპირის ეკლესიაში წირვის რიტუალი. იმ მომენტში, როცა დეკანოზი ბარძიმ—ფეშხუმით თავზე და საცეცხლურით ხელში დიდებით იხსენიებდა მეფეს და მოუწოდებდა მორწმუნეებს ხოტბა შეესხათ მონარქისა და მისი ოჯახის წევრებისათვის, სამლოცველოს ქალების განყოფილებაში (ე.წ. „საქალებოში") ტასიამ და მამაკაცების განყოფილებაში — თეოფილემ ერთხმად მიმართეს ეკლესიაში მყოფთ: „ძირს თვითმპყრობელი, სისხლისმსმელი მეფე, გაუმარჯოს თავისუფლებას, მოგვყევით დებო და ძმებო, თანასოფლელებო". ამ შეძახილებით ისინი გამოვიდნენ ეკლესიის ეზოში. თანასოფლელებმა აიტაცეს ეს საბრძოლო მოწოდება და უკლებლივ ყველა გამოვიდა ეკლესიიდან. სხვათაშორის, ტასიას რევოლუციური გამბედაობა და შემართება დედისაგან — ბარბალე ებრალიძე-კალანდაძისაგან ჰქონდა შთაგონებული. ბარბალემ 1905 წლის რევოლუციისათვის მზადების პერიოდში გურიაში ქალთა შორის ერთ-ერთმა პირველმა გაიტანა წითელი დროშა და შესძახა. გაუმარჯოს თავისუფლებას, დაე, გაუთენდეს ტანჯულ ბარბალესო! ამ შესანიშნავმა მანდილოსანმა სამშობლოს რვა რევოლუციონერი შვილი აღუზარდა. დეკანოზს სურდა მთისპირის ეკლესიაში მომხდარი ფაქტის შესახებ ეცნობებია მაზრის უფროსისათვის, მაგრამ დათიკო შევარდნაძის კატეგორიული მოთხოვნით სიცოცხლის შენარჩუნება არჩია და ხელი აიღო განზრახვის განხორციელებაზე. თანასოფლელებმა კიდევ უფრო შეიყვარეს ტასია და თეოფილე. ზოგიერთებმა მათ სასიყვარულოდ „ანტიქრისტეები" შეარქვეს.

მთისპირის „სამომოშნიკოში" (მასში შედიოდნენ სოფლები: მთისპირი, ციხისუბანი, ვანისქედი) 1917 წლის მარტში დაარსდა კომუნისტური უჯრედი. კომუჯრედის დაარსების ორგანიზატორები და პირველი წევრები იყვნენ: ტასია კალანდაძე-სიამაშვილისა, ტასიას მეუღლე თეოფილე სიამაშვილი, გიორგი თალაკვაძე, ალვასი თალაკვაძე, ვალოსი და მანასე სიამაშვილები, ემელიან შანიძე, გრიგოლ თალაკვაძე და ამ სტრიქონების ავტორი, სულ 9 კომუნისტი (იმ დროისათვის ასკანის საზოგადოებაში მეტი კომუნისტი არ იყო). კომუჯრედი ემორჩილებოდა ხიდისთავის არალეგალური კომუნისტური პარტიის რაიონულ კომიტეტს. ასკანის კომუჯრედიდან რაიონულ კომიტეტში წარმომადგენლად ვიყავი მე.

კომუნისტური უჯრედის წევრებს ბრძოლა გვიხდებოდა როგორც მეფის რეჟიმის ბიუროკრატ მოხელეთა, ისე მენშევიკთა წინააღმდეგ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ — 1917 წლის ოქტომბრიდან 1921 წლის თებერვლამდე — ქართველი კომუნისტები, საქართველოს მშრომელები მტკიცე ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენი უჯრედის წევრები, მათ შორის ტასია კალანდაძე-სიამაშვილისა, ამ ბრძოლების აქტიური მონაწილენი ვიყავით.

**ეპიფანე სიამაშვილი,**
**სკკპ წევრი 1917 წლიდან.**

---

გებ, ზოგს კი თმაზე ხელს ვუსვამ, ვეფერები".

მართლაც და, რაოდენ სასიხარულოა, როცა მასწავლებელს დახარჯული შრომა და სიყვარული აუნაზღაურდება.

ვინ იცის, რამდენჯერ განიცადა მანია მასწავლებელმა ეს სიხარული, ვინაიდან მისი ნამოწაფრების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ ლიტერატურაზეა შეყვარებული.

სწავლება თუ დაძაბული ბრძოლაა, მაშინ სწავლების ხელმძღვანელობა, ათასმოსწავლიანი საშუალო სკოლის დირექტორობა ასმაგი ბრძოლაა. და იბრძოდა მანია უთრუთაშვილი, შრომობდა დღენიადაგ და ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, რომლებსაც ახსოვთ მისი დირექტორობა, ყველა გეტყვით — ჩინებული დირექტორი იყოო. ამიტომაც დიდხანს მუშაობდა სკოლის წინამძღოლად, მერე სხვას გადაულოცა ეს თანამდებობა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისათვის მარტო საგნის სწავლებით შემოფარგვლა კარჩაკეტილობას ნიშნავსო — ესეც მანია მასწავლებლისაგან ვიცით. ქართულის მასწავლებელი სკოლაში ყველაფრის მოთავე უნდა იყოსო.

ლიტერატურული და დრამატული წრეების ხელმძღვანელობა, მოსწავლეთა ხელნაწერი ალმანახისა და ლიტერატურული კედლის გაზეთის რედაქტორობა. ვინ მოთვლის უთრუთაშვილის საქმიანობას! ამიტომ იყო, რომ ბოდბისხევში კი არა, მთელ სიღნაღის რაიონში ამბობდნენ: მანიამ ბოდბისხეველები ლიტერატორებად აქციაო. ბოდბისხევში იმ ხანად რეგულარულად ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები, რომლებსაც არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობა, არამედ მთელი სოფლის მშრომელები ესწრებოდნენ, კლუბი მუდამ ხალხით იყო გაჭედილი.

ღვით მანია მასწავლებელი იყო დეკლამატორიც, მსახიობიც, რეჟისორიც. სოფელში მანია მასწავლებლის გარეშე არაფერი გაკეთებულა.

ბოდბისხეველებს უყვარდათ და კვლავაც უყვართ თავიანთი ამაგდარი მასწავლებელი.

„მასწავლებელი — ამ ქვეყანაზე
სიტყვით ქებული, საქმით ქებული,
მასწავლებელი — დედაენაზე,
მშობელ ენაზე შეყვარებული".

სიტყვით და საქმით ქებულმა მანია უთრუთაშვილმა კანონიერად დაიმსახურა დასვენება, მაგრამ რა დასვენებს — მართალია სკოლაში აღარ ასწავლის, მაგრამ შინაურ მოსწავლეებს (შვილიშვილთა რიცხვი ჯერჯერობით სამია) მთელი გულმოდგინებით ზრდის, ასწავლის. იმედი აქვს „საშინაო კლასების" რიცხვი მალე იმატებსო. დაე, იმედი და სიხარული ნუ მოჰკლებოდეს ბოდბისხეველთა სასახელო რძალსა და ჩინებულ ლიტერატორს.

**ვახტანგ გოზალიშვილი**

კერჭ ზეითუნიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ყვავილებით მოჩითული კაბა

მოთხრობა

მხატვარი დ. ე რ ი ს თ ა ვ ი

მე ერნა მქვია, ზოგჯერ ანასაც მეძახიან. ვცხოვრობ ქალაქ ალექსანდრიის ერთ-ერთ გარეუბანში და ყოველ დღე სამუშაოზე ქვეითად დავდივარ. მეზობლები ყოველთვის მეკითხებიან:

— ფეხით რატომ დადიხარ?

— მინდა გავხდე.

ისინი გაკვირვებული მიყურებენ: მე ხომ ისედაც გამხდარი ვარ. არ ესმით, რომ ტრამვაის ბილეთი ათი მილიმი ღირს. მე კი, დღეში ოცი მილიმის დახარჯვას ის მირჩევნია, ფული შევაგროვო და ერთი ლამაზი კაბა ვიყიდო. უკვე საკმაო თანხა დამიგროვდა, ერთი თვის შემდეგ კაბის ფული ხელთ მექნება.

გზაზე ზოგჯერ ვიღლები. მაშინ რომელიმე ბაღში შევივლი ხოლმე დასასვენებლად. საიდანღაც ვილაცა ბიჭები მოდიან, ჩემს მერხზე სხდებიან და სახეზე ვატყობ, რომ გამოლაპარაკება უნდათ, მაგრამ მე მეშინია მათი: თვალწინ მიდგება ჩვენი გამომჭრელი, რომელმაც ერთხელ ძალით მაკოცა. დღესაც სირცხვილით ვიწვი, რატომ სილა არ გავაწანი-მეთქი. მაგრამ ეს ამაო ქადილია: შეეძლო სამუშაოდან დავეთხოვე, მაშინ ხომ იძულებული ვიქნებოდი კაბისათვის შეგროვებული ფული სანოვაგეზე დამეხარჯა, სანამ ახალ სამუშაოს ვიშოვიდი. ალექსანდრიაში კი სამუშაოზე მოწყობა არც თუ იოლია; ჩემი და დღემდე დაეძებს საქმეს. პატიოსნებას გეფიცებით, რომ ძალიან ძნელია სამუშაოს შოვნა, აი, თუნდაც ჩემი მეზობელი დეზი — ერთი წელიწადია სამუშაოს დაეძებს და განა მარტო ისა? კეტიც, რობერტიც... მაგრამ... მაგრამ მე მაინც უნდა სილა გამეწნა მისთვის.

აი, დღესაც მარტო ვზივარ მერხზე. ჩემს მერხს უახლოვდება უცნობი ჭაბუკი და ჯდება. ვიყურები მისკენ და ვგრძნობ, რომ იგი სულაც არა ჰგავს იმ ბიჭებს, ყოველ დღე რომ სხდებიან ჩემს გვერდით; მიკვირს, რომ ასეთ ჭაბუკს ჩემს გვერდით მოუნახავს ადგილი. დიდხანს ვუყურებ, ისიც მიყურებს და მე ვწითლდები, თუმცა მე ყოველთვის ვწითლდები, როცა მიყურებენ ხოლმე.

— სამუშაოზე მიდიხართ? — მეკითხება იგი. ალბათ, შემამჩნია, რომ სამუშაო ტანსაცმელი მაცვია.

— დიახ, — ვპასუხობ და თავს ვუბრაზდები უნებური გაწითლებისათვის. იგი ჯიბიდან გაზეთს იღებს და კითხულობს. მდუმარედ დავჩერებივარ ჩამოცვენილ ფოთლებს და ვფიქრობ...

ერთხელ ერთმა ჭაბუკმა გამიცნო. გოგოებმა მითხრეს, თუ გინდა ძალიან შეგიყვაროს, ცივად მოექეციო. ვაჟმა კოცნა დამიპირა. ბედნიერად ვთვლიდი თავს, რომ ასე ვუყვარდი, მაგრამ ერთბაშად გამახსენდა გოგოების სიტყვები და მივუგე: — ახლა დრო არ არის-მეთქი.

და მან მიმატოვა.

თუ არ გამოველაპარაკე ამ ვაჟს, ესეც წავა, — ვფიქრობ მე. ნეტავ, რას იტყოდა ახლა დეზი? მას ხომ ბევრ ბიჭთან უვლია... უცებ იმ ჭაბუკებს მოვკარი თვალი, ჩემს გვერდით რომ სხდებიან და მეხუმრებიან ხოლმე, შევშინდი. მაგრამ ისინი არაფერს ამბობენ, ვერც კი მამჩნევენ, ისე აგრძელებენ გზას. მე კი ვიცი, რომ ხვალ ეს ბიჭები ისევ მომისხდებიან...

მათი ისე მეშინია, რომ უცნობ ვაჟს მოულოდნელად ვეკითხები:

— უკაცრავად, რომელი საათია? — და მიხარია, რომ ამჯერად უკვე აღარ ვწითლდები.

— ცხრა, — სიამოვნებით მიბრუნებს პასუხს.

ერთმანეთისაგან მოშორებით ვსხდებით. მგონი მზე მაწუხებს. საჭიროა ცოტა გადავინაცვლო. არა, თურმე ჩრდილში ვზივარ, ვაჟი ზის მზის ქვეშ, ჯავრი მომდის, რატომ არ ესმის, რომ მზის ქვეშ არ შეიძლება, რომ აქეთ უნდა მოიწიოს. მართალია, შემოდგომის მზეა, მაგრამ მაინც არასასიამოვნოა, აცხუნებს.

— იგვიანებთ! — მესმის ვაჟის ხმა.

დიახ! — სინანულით ვამბობ და დაღონებული ვდგები.

— მეც უნდა წავიდე, — ამბობს ვაჟი და ვგრძნობ, თუ რა სწრაფად მეცვლება სახე. თითქმის ვულიმი. ქუჩაში ერთად მივდივართ. ჯმაყად ვიყურები აქეთ-იქით, ძალიან მინდა, რომ ჩვენი გოგოებიდან ვინმემ დამინახოს. აი, ეს მგონი დეზია? — არა, სხვაა. ვღონდები, დეზი რომ არ აღმოჩნდა. მაგრამ რა ნაცნობი სახეა, სადღაც მინახავს. მგონი, ისიც მე მიყურებს, ალბათ, მიცნობს. სულერთია. ის უამბობს თავის ნაცნობებს.

დიახ, მე ვგრძნობ, მე ვიცი, რომ ამ ბიჭს შევუყვარდები. ჩემი და ხშირად მეუბნება, მთელ ქვეყანაზე ულამაზესი ქალი ხარო, ახლა კი მჯერა მისი სიტყვები, მაგრამ ერთბაშად ვღონდები, მახსენდება, რომ მალე ერთმანეთს უნდა დავცილდეთ.

— ტრამვაიში ხომ არ ჩავსხდეთ? — მეკითხება ვაჟი.

თავს ვუქნევ.

ვაგონში ბევრი ხალხია. ორივე ფეხზე ვდგევართ. ისე ახლოს ვართ ერთმანეთთან, რომ ჩემი თმა მის სახეს ეხება. იგი მიყურებს და ცდილობს სახე მომიახლოვოს. უცებ მისი ხელის შეხებას ვგრძნობ. ხელს მაგრად მიჭერს. რაღაც იდუმალი ძალა მაიძულებს ხელი გამოვწიო. ალბათ ჩვენი გოგოების შეგონება მახსენდება, მაგრამ მას მაგრად უკავია ჩემი ხელი და, მეც მიხარია, რომ ხელს ვერ ვითავისუფლებ. რა საოცარია — ადრე მეგონა, ასეთი შემთხვევა ქვეყნის უბედნიერეს ქალად გადამაქცევდა. მაგრამ ახლა არაჩვეულებრივს ვერაფერს ვგრძნობ. ეს ყველაფერი თითქოს ძალიან ბუნებრივია და ასეც უნდა იყოს. ვუახლოვდები გაჩერებას, სადაც მე უნდა ჩავიდე, მაგრამ ის სად უნდა ჩავიდეს? ხომ არ განვაგრძო გზა? ვაჟი თითქოს მიმიხვდა და ჩამჩურჩულა:

— თქვენ სად უნდა გადახვიდეთ?..

გაჩერებაზე ისიც გადმოვიდა. ქუჩაში არავინ ჩანდა. მე ზურგით კედელს მივეყრდენი, ის კი სულ ახლოს იდგა ჩემთან.



— როდის შემიძლია თქვენი ნახვა? — შემეკითხა.

— არა მცალია, — თავი გამოვიდე გახარებულმა.

— ასე არ ივარგებს... მე მინდა შეგხვდეთ...

— მხოლოდ ხუთი წუთით მოვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ კინოში წავიდეთ... ახალი ფილმი გადის... შვილი მამას კლავს, რამდენიმე წლის შემდეგ ისინი მოულოდნელად ერთმანეთს ხვდებიან... ირკვევა, რომ მამა გადარჩენილა...

იმდენად დამაინტერესა ამ სურათმა, რომ უნებურად დავთანხმდი:

— კარგით... მხოლოდ კინოს შემდეგ მაშინვე შინ უნდა დავბრუნდე...

და სწრაფად გავწიე სახელოსნოსაკენ.

როგორც კი დავცილდი, მაშინვე ვიგრძენი ის დიდი სიხარული, რაზედაც ნიადაგ ვოცნებობდი.

თითქმის სირბილით მივდიოდი. იმიტომ კი არა, რომ დამაგვიანდა. არა, მე ეგ უკვე აღარც მახსოვდა. უბრალოდ, აღარ შემეძლო მშვიდად სიარული. ახლა ჩემს თვალში ყველაფერი მიმზიდველი იყო. როცა სახელოსნოში შევედი და ჩვენმა გამომჭრელმა უყვირილი დამიწყო, ისეთი ალერსიანი თვალებით შევხედე, რომ მაშინვე მოლბა და გამიღიმა. მზად ვიყავი მისთვის მეთხოვნა, მეთქვა, მეყვირა, რომ ყველაფერს ვაპატიებდი, ოღონდ ამიერიდან კარგი ადამიანი გამხდარიყო. ის ხომ არავის უყვარდა!

გახარებული ვზივარ ჩემს ოთახში. თვალწინ ის ერთადერთი კაბა მიდგას, მე და ჩემი და მორიგეობით რომ ვიცვამთ ხოლმე. კაბა ერთ ადგილას დახეულია, მაგრამ ჩემს დას ისე ფრთხილად გაუკერია, რომ რაც არ უნდა დააკვირდეთ, მაინც ვერ იპოვნით ამოკემსილ ადგილს. დღეს ჩემი და აუცილებლად დამითმობს კაბას. რარიგ გაიხარებს, როცა ყველაფერს ვუამბობ. ის ხომ ყოველთვის განიცდის ჩემს ავსაც და კარგსაც. მაგრამ, რა კარგი იქნებოდა ჩემ დას სამუშაო რომ ეშოვნა! როგორ მინდოდა, რომ ახლა ისიც გახარებული ყოფილიყო, სამუშაო ნაშოვნი ჰქონოდა. მაშინ ხომ მოვეხვეოდი და ვეტყოდი, ძალიან მიყვარხარ-მეთქი.

მაგრამ, რა სულელი ვარ. მე ხომ სხვა, სხვა უფრო დიდი ამბავი მქონდა სათქმელი!

წვრილად მაგონდება ჩვენი შეხვედრა. საუბარი. როგორ დახედა საათს... მაგრამ თავს მაინც ვერ ვაპატიებ, რომ უფლება მივეცი ხელის დაჭერისა. მე დღეს ასე ადვილად აღარ მივცემ კოცნის უფლებას, თორემ თავში აუვარდება და გამედიდურდება... ერთბაშად შემრცხვა ჩემი ბედნიერებისა... ჩემი და მთელ ქალაქში დაძრწის სამუშაოს საშოვნელად, მე კი... მაგრამ, არა უშავს, იმასაც გაეხარდება; მე კარგად ვიცნობ ჩემს დაიკოს. მაგრამ რატომ მრცხვენია, რომ მასაც უნდა გაეხარდეს ჩემი ბედნიერება?..

ერთბაშად კარი იღება და ჩემი და ბედნიერი ღიმილით მორბის ჩემსკენ. მეც გახარებული ვეხვევი. არცა ვკვირობ და არცა ვფიქრობ იმის შესახებ, თუ რა ახარებს მას. ასე მგონია, რომ ეს ბუნებრივია... ასევე გახარებული უნდა იყვნენ ჩვენი მეზობლებიც, ჩვენი გამომჭრელებიც და სხვებიც.

— სამუშაო ვიშოვე, — მესმის დაიკოს ხმა. არც ეს მიკვირს, ესეც ბუნებრივად მეჩვენება. დიახ, დღეს სამუშაო უნდა ეშოვნა. იქნებ დეზიმაც იშოვა, კეტიმაც, რობერტმაც...

— რა სამუშაოა? — ვეკითხები.

— რეკლამებისათვის უნდა დამხატონ... — იგი სიხარულით დარეტიანებული ზის სკამზე.

— გამიუთოვე კაბა, ერნა! ცოტა ხნის შემდეგ წავალ.

შეშინებული მივჩერებივარ. თითქოს კარგად ვერ გავიგონე მისი სიტყვები, რაღაც შორეულ, ბუნდოვან ბგერებად ჩამესმა. კიბეზე დეზისა და მისი დედის ჩხუბი ისმის. მეცოდება დეზი, სამუშაო არა აქვს. მაგრამ, რატომ მელოდება ჩემი და? უსიტყვოდ ვდგები. უთოს ვაცხელებ, ჩემი და კი განუწყვეტლივ ლაპარაკობს...

მე ვაუთოვებ კაბას და უმუშევარ დეზიზე ვფიქრობ. ერთბაშად მაგონდება, რომ იმ ვაჟის სახელიც არ ვიცი. მხოლოდ ეს ვიცი, რომ ძალიან საინტერესოდ მომყვა როგორ მოკლა შვილმა მამა და წლების შემდეგ როგორ ხვდებიან ერთმანეთს... სახელი კი? არა, არ ვიცი. კაბას ვაუთოვებ. გარეთ მდუმარებას დაუსადგურებია, მხოლოდ ჩემი დისა და უთოს ხმა მესმის. დაიკო ძალიან ბედნიე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გიორგი ჯიბლაძეს 60 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია სულითა და გულით ულოცავენ პატივცემულ გიორგის სახელოვან იუბილეს და უსურვებენ ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს, ბედნიერებასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.





გიგო გაბაშვილი



ძველი ბაქოს სასახლე



კოტე მიქაბერიძე



ქალიშვილის პორტრეტი



მოხუცი



მიხეილ ჯავახიშვილი

# ელისო მაყაშვილი

ბევრი რამ საინტერესო დაულობმა შეიძლება ითქვას ჟურ... ელისო მაყაშვილის შემოქმედების ... უანგაროდ. დარლად დაუფლებულია იგი ჩვენებურით და თავისი მართალი ქართ... გადმოცემას საქართველოს ბუნებისა და ბარის ხილულზე. ბევრნაირი თუ კავკასიის, ქართლისა თუ ურთის პეიზაჟების მომხიბლაობისა ნამუშევრები გამოირჩევა რომრითი მრავალფეროვნებით, ფერების რეალისტური მანერითებური გადმოცემის სისადავე და პლასტიკურობით.

ელისო მაყაშვილი თბილისის სამხატვრო აკადემიაში გიგო გაბაშვილის კლასში სწავლობდა. ჯერ კიდევ ფერმწერისა და პედაგოგისაგან ახალგაზრდა ქალმა ბევრი რამ ისწავლა. ასევე განსაკუთრებული კვალი დატოვა მის შემოქმედებით ხელოვნებაზე ბრწყინვალე ხელოვანმა მაღა წარმოდგენამ ევგენი ლანსერე...

ეს იყო 1921 წელი. საგამოფენო დარბაზში ყველის ყურადღება მიიქცია ხელოვანი ქალის — ელისო მაყაშვილის დიდი ოსტატობით შესრულებულმა მოხუცის ფერწერულმა პორტრეტმა.

იმ დღიდან მხატვარს ფუნჯი ხელიდან არ გაუშვია და მუდამ დაუზოგავად მუშაობდა. მუშაობდა წლების გრძელ ფურცელ გარემოებაზე. მოღვაწეობდა კინოსტუდიაში. ფერადი გაზეთების რედაქციებში მისცემდა ილუსტრაციებს და დიდი ოსტატობით ქმნიდა კარიკატურებსა და გრაფიკულ ჩანახატებს.

გაზ. „ქართველი ქალის" ლიტერატურული პორტრეტების მთელი სერია, რომელიც მან ჩვენი დროის სახელოვან ადამიანებს მიუძღვნა, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ დიდი აქტიორის ელისაბედ ჩერქეზიშვილის, აკადემიკოს ქსენია ბახტაძის, მწერალ ნიკოლოზ დუმბაძის, დიდი ნიკოლაძის, ბაქოში მხატვრის

კოტე მიქაბერიძისა და სხვათა პორტრეტები, რომლებიც გამოირჩევიან ფსიქოლოგიური გადმოცემის სიღრმით. ნათელი მანერით და შინაგანი დამაჯერებლობის სისავსით დაუფერებელია მისი გამჭვირვალე, ფაქიზი პეიზაჟები, რომლებიც მხატვარს აკვარელით შეუქმნია. „ძველი თბილისი", „ოქროს ნანგრევები", „ზღვისპირეთი", „მთიანეთი" და სხვა. მხატვარს იზიდავს ჩვენი ქალაქების ინდუსტრიული სურათის მკაფიო, ძარღვიანი მონახაზი და ქმნის რუსთავის ბრძმედების ფერწერულ სურათებს, ასურათხატებს ჩვენი დროის შრომის გმირებს, რომლებსაც ძლიერი დაკვირვებული ხელებით აქვთ ... მეფოლადეები, მწყემსები, კოლმეურნეები, დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გადმოგვცემს მიწისა და გარჯის, შრომისა და შენების სიყვარულის მომხიბლაობის ძალას.

ელისო მაყაშვილი აკადემიაში სახელოვან ქართველ მხატვრებთან — სერგო ქობულაძესთან, ირაკლი თოიძესა და სხვებთან ერთად სწავლობდა. 60 წელს გადაცილებული ფერმწერი დღეს ხელმძღვანელი სიყვარულით იგონებს სტუდენტობის წლებს, მეგობრებს, თავის დიდ მასწავლებლებს გიგო გაბაშვილსა და ევგენი ლანსერეს. დიდი შემოქმედებითი ენერგიით სავსე მხატვარი ხელისთ მონაწილეობს დედაქალაქის საგამოფენო დარბაზების ექსპოზიციებში და ყურადღებას იქცევს უილუსტრო ნიჭით, ხოლო, რეალისტური წერის მანერითა და ახალგაზრდული აღმაფრენით.

ვუსურვოთ შესანიშნავ მხატვარს მხნეობა და წარმატება თავის კეთილშობილურ საქმიანობაში.



ანდრია რუბლიოვი

მერი შერვაშიძე



# მანანა ბობოხიძე



ჩემი სამშობლოს დილა

ტერენტი გრანელი



ამ ცოტა ხნის წინათ ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა ახალგაზრდა მხატვრის მანანა ბობოხიძის ნამუშევართა გამოფენა. გთავაზობთ რამდენიმე ნამუშევარს ამ გამოფენიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია და უნდა რომ ყველა ასეთივე ბედნიერი იყოს — ჩვენი მეზობლებიც, გამომჭრელიც და მეც...

მე კი ვაუთოვებ...

ცოტა ხნის შემდეგ, ჩემი დაიკო კაბას იცვამს და გარბის. მარტოდ-მარტო ვრჩები. ჩვენი ოთახი დიდია, მალალჭერიანი. კუთხეში ვდგავარ გარინდებული, სახტად დარჩენილი. მიკვირს ყველაფერი, ისიც, რომ ჩემი და ბედნიერია, რომ დეზი და დედამისი უკვე აღარა ჩხუბობენ... სწრაფად ვიცვამ ჩემს ყოველდღიურ, სამუშაო კაბას, რომელიც რამოდენიმე ადგილასაა დაკერებული და ზედ დალვრილი ერბო დღემდე ვერაფრით ამომიყვანია. გავრბივარ ქუჩაში, ვჯდები ტრამვაიში, ვიხდი ათ მილიმს... რომელიღაც გაჩერებაზე ჩამოვდივარ, მივრბივარ განუწყვეტლივ... აი, ამ მაღაზიასთან დავთქვით შეხვედრა. შორიახლოს ვჩერდები და მაღაზიისაკენ ვიყურები. გამვლელი ბევრია. ძლივს ვპოულობ მას. იგი საათს დასცქერის და მეც რატომღაც საათს ვუყურებ.

ღამდება.

ადამიანები მიმოდიან, მეჯახებიან, ზოგჯერ ბიძგი-ბიძგით ქუჩის ბოლომდე მაგდებენ. მე კი, ფეხის თითებზე შემდგარი მაღაზიისკენ ვიყურები.

გადის დრო, გადის ათი-თხუთმეტი წუთი და წამით უსაზღვრო სიხარულით ვივსები. მეამაყება რომ, თუმცა პაემანის დრო გადასულია, ის მაინც მელოდება.

ყველაფერი მავიწყდება და იმაზე ვფიქრობ, კიდევ რამდენ ხანს დამელოდება.

მოუთმენლად ვითვლი წუთებს და წუთების ზრდასთან ერთად ჩემი სიხარულიც იზრდება.

მე ვიცოდი, მე ვიცი, რომ ის დამელოდებოდა. ჩემს წინ განუწყვეტლივ ირევა ხალხი და ზოგჯერ ვეღარც ვხედავ მას, მაგრამ მალე ისევ ვპოულობ მაღაზიის წინ. იგი ირგვლივ იყურება.

ახლა სიარულზე გადავიდა.

უკვე ოცდათხუთმეტმა წუთმა განვლო.

ხალხი მეჯახება, თან მივყევარ ქუჩის ბოლომდე, მაგრამ მაინც ვხედავ მას. მძიმედ დააბიჯებს და აქეთ-იქით იყურება.

გაუჩინარდა. ადამიანების ტალღამ ჩაყლაპა. მოპირდაპირე ქვაფენილზე მხოლოდ ქუდებს ვხედავ, უცნობ ქუდებს.

მერე საათს ვუყურებ და არ ვიცი კვლავ რატომ მიხარია. ოცდათხუთმეტი წუთი მელოდა, დიახ, ნახევარი საათი და კიდევ ხუთი წუთი ზედმეტი.

მერე უკან ვბრუნდები და ტროტუარის ერთ კუთხეში ვჩერდები. უკვე ჩამობნელდა, შინ უნდა წავიდე.

სახლს ვუახლოვდები და ვხედავ ჩვენს ოთახში უკვე სინათლე ანთია. უნებურად გავრბივარ სახლისკენ, ვაღებ კარს, ვემზადები, რომ ჩემს დას მოვეხვიო, ავტირდე, ვიცინო. მაგრამ მოულოდნელად ზღურბლზე ვჩერდები.

ჩემი და მდუმარედ დგას ფანჯარასთან. კარის ხმაურზე შემოტრიალდა და ძლივს გასაგონად თქვა:

— არ მიმიღეს... ჩემზე შესაფერი იშოვეს...

ახლა ერთმანეთის პირისპირ ვდგევართ. ჩვენს წინ ოთახში გაბმულ თოკზე, ზედ რომ სარეცხს ვაშრობთ ხოლმე, დიდი ყვავილებით მოჩითული ჩვენი კაბა ჰკიდია, იგი მხოლოდ ერთ ადგილზეა დახეული, მაგრამ ჩემს დას ისე ფრთხილად გაუკერია, რომ როგორც არ უნდა დააკვირდეთ, მაინც ვერ გაარჩევთ იმ ამოკემსილ ადგილს.

სომხურიდან თარგმნა
მარინე მამაცაშვილმა

## პატარებისათვის

# დუდგუბოს დედოფალი

ერთ მთვარიან ღამეს, ციცინათელა ფოსფორამ რუს სიმღერა რომ მოისმინა, ბაღს ჩაუფრინა დ მეტად ლამაზ მცენარეს მოჰკრა თვალი. დაბლა დაეშვა და ბუშტის მსგავს, ნარინჯისფერ ყვავილებს გაოცებულმა დაუწყო ცქერა. ბოლოს შეეხმიანა კიდევაც:

— გამარჯობა, ლამაზო!

— მე ლამაზო კი არა, დუდგუბო მქვია.

— დუდგუბო, ლამაზო, რა ხელმა შეგქმნა ასე მშვენიერი? ბუშტის შიგნით სიცარიელეა თუ...

ციცინათელა ფოსფორა ყვავილთან მივიდა და ბუშტში ჭუჭრუტანიდან შეიხედა:

ოი, საოცრება! ფართო დარბაზი გუმბათოვანი ჭერით, შიგ კი, ნარინჯისფერ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი მზეთუნახავი ზის და გულის გასახარად იღიმება.

— აი, შენ უნდა თქვა ხელოვანი ვარო! დუდგუბო, ჩემო კარგო, დავმეგობრდეთ, გეთაყვა.

— ჩემო ფოსფორა, კეთილი და საყვარელი ციცინათელა ხარ, ყველას ახარებ საამო ნათელით და აბა, მეგობრობაზე უარს როგორ გეტყვი?

ციცინათელა ფოსფორა სიხარულით აინთო და დუდგუბოს ალერსიანად უთხრა:

— ჩემო დუდგუბო, მაინც როგორ აკეთებ ასეთ იშვიათ ყვავილებს?

— შენ როგორღა ანათებ ასე საამურად?

— ეს ხომ ძალიან ადვილია?

— ასე ადვილია ჩემთვისაც, — გადაიკისკისა დუდგუბომ, გადაიკისკისა ციცინათელამაც და ბოლოს დაიჩივლა:

— როგორ მეძნელება აქედან წასვლა.

— დარბაზების მეტი რა მაქვს, რომელშიც გინდა მოისვენე.

გახარებულმა ფოსფორამ დუდგუბოს მადლობა გადაუხადა და იმ დარბაზში შეფრინდა, რომელშიც მზეთუნახავი ბრძანდებოდა.

— საოცრება, საოცრება, გახედეთ დუდგუბოს დარბაზს, გახედეთ! — შესძახა მაღალმა ტუხტმა და ფინჯანა ყვავილები შეარხია.

ერთბაშად ყველამ დუდგუბოს მიხედა. დუდგუბოს დარბაზიდან მართლაც ულამაზესი ნათელი იფრქვეოდა, ციცინათელა ანათებდა და თან მზეთუნახავს ათას ამბებს უყვებოდა.

— რა ბედნიერი ხარ ფოსფორა, მთელ ბაღს ათვალიერებ, ათას ამბავს იგებ, მრავალ ყვავილსა და პეპელას იცნობ, ფრენა იცი და საითაც გული გაგიწევს, იქით გაანათებ.

— ახლავე შეგისვამ ზურგზე და მთელ ბაღს შემოგატარებ.

— ოჰ, ნუთუ მართლა! — შესძახა გახარებულმა მზეთუნახავმა და ლამაზი თვალები გაუბრწყინდა.

ბოლოს ამაზე შეთანხმდნენ: მზეთუნახავის სარტყელს ციცინათელა წელზე საქანელასავით ჩამოიბამს, შეჯდება ამ საქანელაზე მზეთუნახავი და ჰერი...

— რა ბედნიერება ყოფილა თავისუფლება, რა დიდი და ლამაზი ყოფილა ქვეყანა, ასეთი რამ არასოდეს მიგრძვნია, — ჩურჩულებდა მზეთუნახავი და გული სიხარულით უცემდა. გახარებული ფოსფორა კი ნათებ-ნათებით მიფრინავდა და ბედნიერ მზეთუნახავს მიაქროლებდა. ციცინათელას მომწვანო შუქი, ახალი მთვარის მკრთალ ნათელში გაელვებული, მზეთუნახავის ჰაერში აფრიალებული ნარინჯისფერი კაბა მშვენიერი რამ სანახავი იყო.

გახარებული დედა დუდგუბო კი ბედნიერ მზეთუნახავს გასცქეროდა და დანარჩენ მზეთუნახავების მომავალზე ოცნებობდა.

ევა ჩაკალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პათოსი

„საქართველოს ქალის" რედაქციამ მთხოვა დრამატურგ ანა ალლაძეზე წერილი დამეწერა. მე კრიტიკოსი არ გახლავართ და ცოტა არ იყოს შევკრთი. მაგრამ უარის თქმა უფრო გამიძნელდა. დრამატურგთან შემოქმედებითი ურთიერთობა გამახსენდა. მისდამი პატივისცემამ გამათამამა და ამიტომ გადავწყვიტე ანა ალლაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ჟურნალის ფართო მკითხველს ზოგი რამ მოვუთხრო.

ანა ალლაძემ ბავშვობა და ახალგაზრდობა ყაბარდოს მთის წიაღში გაატარა, მთების მკვიდრთ დაუახლოვდა, მათი ზნეჩვეულება შეისისხლხორცა და იმთავითვე რევოლუციურად განწყობილ გოგონებსა და ჭაბუკებთან ერთად ჩაება რევკომის სექციის აქტიურ მუშაობაში. ქალიშვილი ინტერნაციონალური, იდეური აღზრდის ხელოვნებას ეუფლებოდა.

სამოქალაქო ომის წლებს ფუჭად არ ჩაუვლია მისთვის. ახალგაზრდა ქალს მსოფლმხედველობა გამოუმუშავდა.

თბილისში ჩამოსვლისას, მომავალი დრამატურგი რკინიგზელთა წრეში აღმოჩნდა, და გაზეთ „წითელ დეპოელში" დაბეჭდილი მისი პირველი ლექსები ორთქლმავალმშენებელთა დამკვრელ ბრიგადას მიეძღვნა. ეს იყო 1929 წელს. ანა ესწრებოდა ორთქლმავალმშენებელი ქარხნის ლიტერატურული წრეების მეცადინეობას, ერთდროულად დაამთავრა სახკინმრეწვთან არსებული ორწლიანი სასცენარო კურსები, რომელსაც უკვე აღიარებული ლიტერატორი ვიქტორ შკლოვსკი ხელმძღვანელობდა. სწავლას მოწყურებული ანა ხშირად ესწრებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის დრამსექციის მეცადინეობას.

1934 წელს, ანა ალლაძეს მცირე ფორმის ორი პიესა: „სამი ქურდი" და „თანამედროვე ქალი" უკვე მზად ჰქონდა. მათი დადგმა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე რეჟისორმა გიორგი ჯაოშვილმა განახორციელა. და ეს მინიატურები წარმატებით წავიდა.

ენერგიით სავსე ქალი თბილისის სამხატვრო აკადემიაში კლუბის გამგედ იწყებს მუშაობას, სადაც აყალიბებს სხვადასხვა წრეებს. წერს საესტრადო სკეტჩებს. აკადემიაში მუშაობისას, ახალბედა მწერალი, ეცნობა რა ცალკეულ მხატვართა და მოქანდაკეთა შემოქმედებას, მათზე ნარკვევებს წერს და აქვეყნებს ჟურნალ-გაზეთებში.

1938 წელს ანა ალლაძე უკვე პიესა „გულნარას" ავტორია. პიესა დრამატურგმა რკინიგზელებს მიუძღვნა. ამ პიესით რამდენიმე თეატრმა დაიწყო ახალი სეზონი. მალე ანა მუშაობას იწყებს ახალ პიესაზე „თერგის კომისარი". პიესა ასახავდა სერგო ორჯონიკიძის მოღვაწეობას სამოქალაქო ომის პერიოდში. „თერგის კომისარმა", 1940 წელს რესპუბლიკურ კონკურსზე გაიმარჯვა და ლევან გოთუას პიესა „ერეკლე II"-ესა და იონა ვაკელის „გიორგი სააკაძესთან" ერთად პრემიით აღინიშნა. წახალისებული მწერალი 1942 და 1943 წლებში ამთავრებს ახალ პიესას „ბროლის სასახლე". მისი დადგმა რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა დიდი წარმატებით განახორციელა მოზარდ მაყურებელთა თეატრში, მხატვარმა ნიკა ყაზბეგმა საინტერესო ფორმა მოუძებნა სპექტაკლს, ხოლო კომპოზიტორმა ალექსი მაჭავარიანმა მუსიკალურად გააფორმა იგი, პიესისათვის ანა ალლაძემ თავისი ლექსები შესთავაზა კომპოზიტორს.

სამამულო ომმა დრამატურგ ქალს შთააგონა ორი პიესა: „სიკვდილზე ძლიერი" და „გმირის დაბადება". ამ პიესებში აისახა საბჭოთა მებრძოლების პატრიოტული გრძნობა და სამშობლოსადმი თავგანწირული სიყვარული, რამაც რაიონულ თეატრებში პიესებს დიდი წარმატება მოუპოვა.

დრამატურგი ქალი დიდის გულისყურით მიმართავს ახალგაზრდობის თემას, ნამდვილი მოქალაქის ჩამოყალიბების თემას. სწორი და სულით მედგარი ახალგაზრდების აღზრდას. პიესა „ნათელი დღე" მიმართავდა მშობლებს, მოუწოდებდა მათ, სათუთად მოპყრობოდნენ ბავშვთა აღზრდის საქმეს. ამ პიესამ, 1949-1950 წლებში პრობლემატიკის აუცილებლობით და თანადროულობით სოხუმის, თელავის, გორის, სტალინირისა და სხვა თეატრების მაყურებელი დააინტერესა და მიიზიდა თეატრში.

ბავშვთა აღზრდის თემას ნიჭიერმა დრამატურგმა კვლავ მიმართა 1951 წელს, პიესა „მეთხილამურეებით", პიესაში მეთხილამურე ბიჭი, ჩემპიონად აღიარებული მალხაზი გაქანებულ ტრამვაის შეახტება და სპექტაკლის მესამე მოქმედებაში საავადმყოფოში აღმოჩნდება. ამ სპექტაკლის მსვლელობის დროს, მოზარდმაყურებელთა თეატრში ბავშვები პიესის ავტორს აცრემლებულნი მივარდნენ და ემუდარებოდნენ ეღონა რამე და ფეხი არ მოეკვეთა მალხაზისათვის. გოგუცა კუპრაშვილი დიდი ნიჭიერებით თამაშობდა მალხაზის როლს. მღელვარება სუფევდა მაყურებელთა დარბაზში, დაიწერა რეცენზიები, ერთსულოვანი აღიარება ჰპოვა პიესამ და სპექტაკლმაც. ამ სპექტაკლისათვის ჩვენი მილიციის ხელმძღვანელობამ მადლობა გამოუცხადა თეატრს.

წარმატებამ ავტორი წააქეზა და ამავე თეატრისათვის ახალი პიესა „ანდროს ოცნება" დაწერა, რომელიც რეჟისორმა გურამ პატარაიამ დადგა. პიესა კვლავ შრომისაკენ მოუწოდებდა ბავშვებს, ხოლო მშობლებს ურჩევდა ბავშვები გაეზარდათ შრომისმოყვარეებად და არა ეგოისტ-კარიერისტებად, რაც სიყრმიდანვე სპობს ადამიანში კეთილშობილ მიზანსწრაფვას. „ანდროს ოცნება" მოზარდ მაყურებელთა თეატრში სამი წლის განმავლობაში დღითიდღე იზიდავდა მოზარდებს და ავითარებდა მათში ენთუზიაზმს.

ზემოთჩამოთვლილ პიესებზე მუშაობისას ანა ალლაძე პარალელურად ფიქრობდა და ქმნიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თემაზე აგებულ ახალ დრამატულ ნაწარმოებს. ავტორმა ერთ სახლში დაასახლა თავისი გმირები, სხვადასხვა კლასის, წარმოშობის, წრის, აღზრდის და მსოფლმხედველობის წარმომადგენლები. ამ დიფერენცირებულ მოქმედ პირთა ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისადმი, ქმნის კონფლიქტს. ეს პიესა გახლდათ „წარსულის ფურცლები". პიესა რუსთაველის სახელობის თეატრის დასმა საერთო კითხვის შემდეგ ტაშის გრიალით ერთხმად მიიღო დასადგმელად. პიესა მუშაობაში უფრო საინტერესო აღმოჩნდა. მე პირადად ამ პიესაში ვთამაშობდი ერთ-ერთ მთავარ როლს და მახსოვს რა დაინტერესებით და გატაცებით ვმუშაობდით მსახიობები დრამატურგ ანა ალლაძის მიერ, მახვილი თვალით მონახულ და დახვეწილ სახეებზე; რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი და შემდეგ რეჟისორი აკაკი

ვასაძე მომხიბვლელი იუმორით მოსავდნენ პიესის პერსონაჟებს. სპექტაკლი წარმატებით იქნა მიღებული საჩვენებელ წარმოდგენაზე. პრემიერისათვის ბილეთების გაყიდვაც კი დაიწყო. მაგრამ, რატომღაც, წარმოდგენა შეჩერებული იქნა. რამდენიმე წლის შემდეგ, 1961 წელს, იგივე პიესა, გადამუშავებული, და „მღელვარე დღეებად“ დასათაურებული კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ვერიკო ანჯაფარიძის მიერ დაიდგა.

სპექტაკლი თითქმის მთელი დასის მონაწილეობით შეიქმნა და საკმაოდ კარგად წავიდა, პიესის კონფლიქტი ორი სამყაროს ჭიდილში გამძაფრდა: უარყოფითი სახეები, თითქმის გროტესკამდე აყვანილი, დიდი გამარჯვება იყო მსახიობთა ანსამბლისა, რამაც ალლაძის პიესას წარმატება მოუტანა.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ანა ალლაძის კიდევ ერთი პიესა განახორციელა, ეს იყო „შავთვალა გოგონა“ დადგმული ახალგაზრდა რეჟისორების ა. ქუთათელაძისა და გ. მაცხონაშვილის მიერ. „შავთვალა გოგონა“ ახალგაზრდა მაყურებელმა შეიყვარა. პიესაში განათლებული, მაგრამ განებივრებული გოგონა ახალ, შრომით გახალისებულ ცხოვრებას იწყებს. ავტორს დიდი ადამიანური სითბოთი გამოუძერწია მოხუცი მუშა გაბოს სახე, მსახიობებს ხალასმა მასალამ კარგი სახეები მოაძებნინა. ახალგაზრდობამ განსაკუთრებული სითბოთი მიიღო ეს სპექტაკლი.

რევოლუციური პერიოდი იყო და არის კომუნისტი დრამატურგის — ანა ალლაძის მთავარი თემა. ის კვლავ უბრუნდება სამოქალაქო ომის თემას. პიესა „თერგის ჩქერებზე“ მიეძღვნა კავკასიის არმიის მებრძოლებს, მთიელთა და კაზაკთა ბრძოლას; ხოლო ავტორი, ახლა უკვე შეიარაღებულია არა მარტო ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებებით, არამედ მასალის ღრმა ცოდნით, ფაქტიური მასალის შესწავლით, მრავალგზისი საუბრებით უშუალოდ სამოქალაქო ომის მონაწილეებთან. „თერგის ჩქერებზე“ რეჟისორ თენგიზ მალალაშვილის დადგმით მოზარდ მაყურებელთა თეატრში მიდიოდა.

ანა ალლაძის პორტფელშია ახალი ლირიკული კომედია: „ატმის ყვავილობა“. ახალი პიესები „ვერცხლის ძეწკვი“, მიძღვნილი ქართველი ქალის მაღალი მორალისადმი, „მზე ზენიტშია“, რომლის თემა საბჭოთა ადამიანის გულუხვობა და სიკეთეა, და „დახურული კარის წინ“.

ალლაძისთვის ორგანულია ჰეროიკული, მაღალი კომუნისტური მორალის, ახალი ცხოვრების, მშენებლობის და საბჭოური ადამიანის შინაგანი კულტურის გადახალისების თემა. მის პიესაში თემა და იდეა ხორცშესხმულია.

დრამატურგი გასაკვირი სისადავითა და დამაჯერებლობით აღწევს საბჭოეთის მშენებლობის ტემპორიტმის პათოსს. ეს ყველაფერი უსათუოდ ანა ალლაძის ნიჭიერებაზე და ოსტატობაზე ლაპარაკობს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ანა ალლაძე რამდენიმე წიგნის ავტორიცაა. ესენია: „პიონერთა ბანაკი“ (ლექსები), „დაუპატიჟებელი სტუმარი“, „თენგიზის სიტყვა“ და პატარა კრებული „ირინკა“, რომელშიც სხვადასხვა დროს დაწერილი მოთხრობებია შეტანილი. ამჟამად ანა ალლაძე დაუცხრომელი ენერგიით მუშაობს ახალ სატირაზე — „ნაკუწებიანი საბანი“ და ავტობიოგრაფიულ მოთხრობაზე — „რაც დაუვიწყარია“.

ალექსანდრა თოიძე,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

# აჭარელი ქალები დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

აჭარელი მშრომელები სამამულო ომის დაწყებისთანავე მტკიცედ ჩადგნენ ჩვენი სამშობლოს დამცველთა რიგებში. სამამულო ომის ფრონტებზე აჭარიდან 600 ქალი იბრძოდა, ბრძოლაში მამაცობის მაგალითები გვიჩვენეს: ბურიე ანანიძემ, ფადიმე ომერიძემ, ნაზი ქინქლაძემ, ქეთო თურქიამ, ჟუჟუნა ინაიშვილმა, დებმა ლუბა და ტატიანა წეროძეებმა, ალექსანდრა მასხულიამ, ნინო ნიკოლაიშვილმა, დარეჯან ღლონტმა, ქეთევან ქილიფთარმა, მარგო კარანაძემ, ქსენია კოპალატაძემ, ეთერი სურგულაძემ, ნადია კომახიძემ, ვენერა დვალმა, ბურიე მჟავანაძემ, ელენე მიგოვამ, ლიდა ტაბალუამ, მეზღვაურებმა ვიდე გვარიშვილმა, ნინო კალანდაძემ, შუშანა თუმანიშვილმა, იულია ფაილოძემ და სხვებმა. ომის დამთავრების შემდეგ ბევრი მათგანი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და სხვადასხვა სამუშაოზე დაწინაურდა, ბევრი კი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ნ. კალანდაძე 1942 წლის 5 დეკემბერს მიიბარა ჩრდილოეთის ზღვამ. ბ. ანანიძე ვოლგის მარჯვენა ნაპირზე იყო, როცა საბჭოთა ჯარებმა შეტევა დაიწყეს სტალინგრადის მისადგომებზე. აი რას წერდა იგი თავის დას: „ომი დიდ მსხვერპლს მოითხოვს, აქედან თუ ცოცხალი დავბრუნდი, ალბათ, არაფერი მომკლავს.“ მან ბრძოლებით გაიარა უკრაინის ველები და მისი ნაწილი დნეპრს მიადგა. მდინარე იერიშით უნდა გადაელახათ და კიევის მისადგომებთან გასულიყვნენ. ბ. ანანიძეს აღარ დასცალდა, დნეპრის გადალახვისას დაიღუპა.

დები ლუბა და ტატიანა წეროძეები, ჟუჟუნა ინაიშვილი, დარეჯან ღლონტი, მარგო კარანაძე, ვენერა დვალი, ალექსანდრა მასხულია და სხვები ომის დამთავრების შემდეგ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდნენ. მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისათვის ჟუჟუნა ინაიშვილი დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენითა და სამი მედლით, ხოლო ტატიანა წეროძემ ხუთი მედალი მიიღო. დღეს ტატიანა ურეხის საშუალო სკოლის მასწავლებელია და ახალგაზრდა თაობას ზრდის პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ალექსანდრა მასხულია წითელი ვარსკვლავისა და სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენების კავალერია, ამასთან დაჯილდოებულია 0 მედლით. ახლა იგი ენერგიულად მუშაობს აჭარის ასს რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში.

სამამულო ომის პერიოდში მტრის ზურგში პარტიზანად იმყოფებოდა მახინჯაურის მკვიდრი ფადიმე ხასანის ასული ომერიძე. მან ბათუმის აეროკლუბთან არსებული მფრინავთა სკოლა დაამთავრა, ხოლო შემდეგ — თბილისის საფრენოსნო სკოლა. 1942 წლის იანვარში ახალგაზრდა მფრინავმა პირველი საბრძოლო დავალება მიიღო, იგი გაგზავნეს მტრის ზურგში, დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ერთი წლის განმავლობაში ფადიმე პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელთა დავალებებს ასრულებდა ყირიმში. სიმფეროპოლში, ერთ-ერთი დავალების შესრულებისას, იგი ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს და ბერლინში გაგზავნეს.

ფაშისტურ კატორღაში პარტიზან ქალს ფადიმე ომერიძეს იცნობდნენ, როგორც მედიცინის დას ხაბურზანიას. სწორედ ეს გვარი შერჩა მას მეტსახელად იატაკქვეშეთში. ფადიმე აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიზანულ მოძრაობაში. მან კავშირი გააბა პოლიტიკურ პატიმრებთან და გადასცემდა მათ მოსკოვიდან მოსმენილ ახალ ამბებს. მტრის ზურგში აჭარელი ქალიშვილი ანტიფაშისტური მოძრაობის ერთ-ერთი არალეგალური ჯგუფის წევრი გახდა, საბჭოთა პატრიოტებთან და გერმანელ კომუნისტებთან ერთად აქტიურად მუშაობდა იატაკქვეშეთში. ფადიმე ავრცელებდა ფურცლებს, საჭურველს აწვდიდა იატაკქვეშელებს. 1944 წლის 6 აგვისტოს, ველოსიპედით პროკლამაციების გადატანის დროს, ფადიმეს ავტობუსი დაეჯახა, მიიღო თავის ტვინის შერყევა და მოიტეხა მარჯვენა ხელი; მიუხედავად მძიმე ტრავმისა, მას პროკლამაციები მტრის ხელში არ ჩაუგდია, კომუნისტ ერვინ კლიუგეს ჩააბარა.

1944 წელს გაცემული მოწმობით დასტურდება, რომ მზვერავი, კომკავშირელი ფ. ომერიძე ნამდვილად არის ბერლინსა და მის რაიონებში პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური საბჭოს რწმუნებული. მოწმობას ხელს აწერს პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე მაიორი ვარლამ გაბუნია (საბაშვილი). ფ. ომერიძემ შეუდრეკელი მზვერავისა და იატაკქვეშელის მძიმე გზა განვლო. ფაშისტთა ჯურღმულებში მოხვედრილი, კვლავ ასრულებდა რთულ დავალებებს.

ფ. ომერიძე სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ომის დამთავრების შემდეგ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ შრომაში. ფ. ომერიძე 1969 წელს გარდაიცვალა.

რევაზ ძნელაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი პედაგოგიური საბჭო

**სხდომა № 2**

## დღის წესრიგშია საშუალო სკოლებთან არსებული გახანგრძლივებული ჯგუფების მუშაობის პირობები

ბავშვებზე ზრუნვა ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი წყობილების უპირველესი ამოცანა იყო და არის. ჯერ კიდევ ოქტომბრის გარიჟრაჟზე ძველმა ბოლშევიკმა დორა ლაზურკინამ ვ. ი. ლენინისაგან მიიღო დავალება ხელი მოეკიდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის საქმისათვის, გაეხსნა ბაგა-ბაღები.

დორა ლაზურკინა გააოცა ვლადიმერ ილიას-ძის თამამმა, ლაღმა ჩანაფიქრმა, ეს ამბავი ხომ 1917 წლის შემოდგომაზე ხდებოდა, და ცოტა არ იყოს, დაეჭვება გამოხატა. რაზედაც ლენინისაგან ასეთი პასუხი მიიღო: — დიახ, ძნელია, ძალიან ძნელი, მაგრამ ეს ხომ ჩვენი შვილებისათვის კეთდება. მათ უნდა დაამთავრონ ჩვენი დაწყებული საქმე, მათ უნდა ააშენონ კომუნიზმი. ბავშვის აღზრდა კოლექტივში უნდა დავიწყოთ. ეს საჭიროა, ძალიან საჭირო. ეს ყველაზე მთავარია. გაბედულად მოკიდეთ საქმეს ხელი, ჩვენ კი დაგეხმარებით. გახსოვდეთ, ყოველივე საუკეთესო, რაც კი გვაბადია, ბავშვებს ეკუთვნით. უფროსები შიმშილსაც მოვითმენთ, უკანასკნელ პურის ნამცეცს, უკანასკნელ შაქრის ნატეხს კი ბავშვებს მივცემთ...

„ყოველივე საუკეთესო, რაც კი გვაბადია ბავშვებს ეკუთვნით" — ამ დევიზს მიჰყვება დღემდის ჩვენი ქვეყნის ყოველი ადამიანი.

1917 წლის შემოდგომაზე ლენინის მიერ წამოჭრილმა იდეამ, ბავშვებისათვის აღმზრდელობითი დაწესებულებების შექმნის შესახებ, ჩვენი სახელმწიფოს არსებობის ნახევარსაუკუნოვან მანძილზე დიდი აღმავლობითი გზა განვლო. დღეს საბჭოთა ქალს, რომელიც ახალი საზოგადოების მშენებლობაში ტოლს არ უდებს მამაკაცს, ყველა პირობა აქვს შვილი მოვლილი, ნაპატრონები ეგულებოდეს. ფართოდ გაიშალა ბაგა-ბაღების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების მშენებლობა.

სამოციან წლებში ბევრ სკოლასთან გაიხსნა, ეგრეთწოდებული, გახანგრძლივებული ჯგუფები იმ ბავშვებისათვის, რომელთა მშობლებიც საწარმო-დაწესებულებებში არიან დაკავებული.

ჩვენი ქალების მეტი წილი დღეს საზოგადოებრივ საქმეშია ჩაბმული, ამან მისი ცხოვრება ერთიორად საინტერესო გახადა, მაგრამ არც ისაა არავისთვის საიდუმლო, რომ ოჯახი კვლავ ქალის მოსავლელი დარჩა, ოჯახის მოვლა, შვილების აღზრდა და საზოგადოებრივი საქმიანობის ერთმანეთთან შეთავსება ისე, რომ არცერთი არ დაზარალდეს, ქალისთვის მძიმე შეიქმნა.

არცერთ ექვსი წლის ასაკამდე ბავშვის დედას აღარ აწუხებს შვილის მოვლის პრობლემა. იგი მას ბაგა-ბაღში ეგულება საიმედოდ ნაპატრონები. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით, ალბათ, სკოლის ასაკის ყველა ბავშვის დედის მიმართ.

ახლა ბევრ სკოლასთან მუშაობენ გახანგრძლივებული ჯგუფები, მაგრამ მათი რიცხვი ჯერჯერობით მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, და ხშირად, ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, ისე ვერ მუშაობს, რომ ქალი გულდანდობილი იყოს და შვილი, როგორც ოჯახში, ისე ნაპატრონები ეგულებოდეს.

დღეს ჩვენს პედაგოგიურ საბჭოს სხდომას ესწრებიან თბილისის 54-ე, 147-ე და 23-ე სკოლის წარმომადგენლები. მოვუსმინოთ მათ:

**როსტომ ალავიძე, თბილისის 54-ე საშუალო სკოლის დირექტორი:**

ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ ქალი დღეს მეტად დასაქმებულია საზოგადოებრივ ფრონტზე. რაც დრო გავა, ეს ფრონტი სულ უფრო მეტ შევსებას მიიღებს. თანამედროვე ქალი ვეღარ კმაყოფილდება მარტო ოჯახის ინტერესებით, გაიზარდა მისი სულიერი, ინტელექტუალური მოთხოვნილება. მაგრამ, ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ქალი ზებუნებრივი არსება არაა, პირიქით, იგი მამაკაცზე სუსტია ფიზიკურად და, რა თქმა უნდა, უჭირს ორმაგი, სამმაგი ტვირთის ზიდვა. ყოველივე ამას მივყავართ იმ დასკვნამდის, რომ ქალი ნაწილობრივ მაინც უნდა გამოთავისუფლდეს ოჯახური და შვილების აღზრდის საქმისაგან. როგორ შეუმსუბუქდეს ქალს ოჯახში ფიზიკური შრომა, ეს ცალკე დიდი საკითხია, რომელზეც სხვა ორგანიზაციები ფიქრობენ და დღეს ჩვენ მათზე არ შევჩერდებით, მაგრამ, როგორ მიეეშველოთ შვილების აღზრდაში, ეს კი ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა.

საშუალო სკოლებთან არსებულ გახანგრძლივებულ ჯგუფში შვილის გამწესება დიდი შეღავათია ქალისათვის. მაგრამ არსებობს მთელი რიგი სიძნელეები (ამ შემთხვევაში ვლაპარაკობ, კერძოდ, ჩვენი სკოლის პირობებზე). შენობის სიმცირის გამო გახანგრძლივებული ჯგუფისათვის ვერ მოვახერხეთ ერთ ოთახზე მეტის გამოყოფა. სკოლაში 1005 ბავშვი სწავლობს, მათგან მხოლოდ 95 მოსწავლეა გახანგრძლივებულ ჯგუფში (მეტი აბა როგორ მოვათავსოთ ერთ საკლასო ოთახში?). გახანგრძლივებულ ჯგუფებში არიან ბავშვები მეექვსე კლასამდე. დღის სხვადასხვა მონაკვეთში ჯგუფში ბავშვთა რაოდენობა 50-ზე ნაკლები არ არის. წარმოიდგინეთ 50 ბავშვი ერთ ოთახში?! ორმოც ბავშვზე გათვალისწინებულია ერთი პედაგოგი, მას აბარია დედისა და აღმზრდელის ყველა ფუნქცია; გაკვეთილის გასწორება, დიდაქტიკური მხარე, ბავშვის კვებისა და დასვენების მოწესრიგება და ა. შ.

ერთი სპეციალობის პედაგოგმა (რომელიც გახანგრძლივებულ ჯგუფს ხელმძღვანელობს) მე-5, მე-6 კლასის მოსწავლე უნდა ამეცადინოს ყველა საგანში. კი მაგრამ, თუ იგი ლიტერატურის მასწავლებელია, ფიზიკა-მათემატიკაში როგორ გაუსწოროს გაკვეთილი?! ეს საკითხი, როგორც ჩანს, მომწიფდა ახალი კორექტივების შესატანად.

**ვენერა ნოდია, ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე:**

საკლასო ოთახების სიმცირე ყველაზე დიდი დაბრკოლებაა, მაგრამ სკოლის დირექციას ძალიან დიდი გეგმები აქვს დასახული და მთელი ძალითა და მონდომებით იბრძვის მათი განხორციელებისათვის; სულ ახლო მომავალში, ვფიქრობ, ზემდგომი განათლების ორგანოების დახმარებით გახანგრძლივებული ჯგუფების ოთახების რიცხვი სულ ცოტა ცხრა-თერთმეტი გახდება (გათვალისწინებულია სკოლის შენობაზე ახალი ფლიგელის მიშენება). ჩვენ იმედით შევყურებთ მომავალს, უკვე დაგეგმილი გვაქვს ოთახების ფუნქციები: საძინებელი, სასადილო, სამეცადინო, გასართობი და ა. შ.

ცხელი კერძები მოგვაქვს ცენტრალური სამზარეულოდან, რაც ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული: ხან გზაში ცივდება, ხან ტრანსპორტს აგვიანდება, სკოლის განრიგი კი, მოგეხსენებათ, დაგვიანებას ვერ ითმენს, ისე რომ, ბავშვი ზოგჯერ ჭამასაც ვერ ასწრებს. ამ საკითხსაც მომავალში ალბათ სულ სხვაგვარად გადავწყვეტავთ.

**ელისაბედ კვიწინაძე, გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელი-პედაგოგი:**

მოუთმენლად ველით იმ დღეს, როცა სკოლას საშუალება ექნება ერთ ცვლაში იმუშაოს, აი მაშინ გახანგრძლივებულ ჯგუფებს განუსაზღვრელად კარგი პირობები შეექმნებათ.

ჩემი მიზანია, ბავშვებს დედური სითბო არ მოვაკლო, პედაგოგის ალღომ არსად მიმტყუნოს, არაფერი გამომეპაროს, არაფერი დამავიწყდეს. მე ხომ ყველაზე ძვირფასი რამ — ბავშვის აღზრდა-პატრონობა მაბარია.

ვფიქრობ ცუდი არ იქნება, თუ კი პედაგოგიურ ინსტიტუტებთან შეიქმნება სპეციალური ფაკულტეტი, რომელიც გახანგრძლივებული ჯგუფების პედაგოგებს მოამზადებს.



ელისაბედ კვიწინაძე, როსტომ ალავიძე და ვენერა ნოდია.

გახანგრძლივებულ ჯგუფებთან მომუშავე პედაგოგი უფრო მრავალმხრივი და სპეციფიური ცოდნით უნდა იქნეს აღჭურვილი.

**ნოდარ ლაითაძე, 147-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე:**

სკოლას სულ რაღაც ოთხიოდე წლის ისტორია გააჩნია. იგი თბილისის ახალი დასახლების — დიღმის მასივის ბავშვებს ემსახურება, ამ მასივში კი, მოგეხსენებათ, მეტისმეტად სწრაფად იზრდება ახალმოსახლეთა რიცხვი, ისე, რომ დღეისთვის უკვე 1654 ბავშვი გვყავს, მაგრამ რამდენი იქნება ხვალ, ამის გათვალისწინება ძნელია. შენობა საექსპლოატაციოდ მოხერხებულია, მაგრამ ზემოდ დასახელებული რიცხვი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა ვიწროდ ვართ. აი სწორედ ამიტომ, 1974 წლის იანვრიდან დაიწყება სკოლის შენობაზე ახალი ნაწილის მისაშენებელი სამუშაოები, რაც საშუალებას მოგვცემს გახანგრძლივებული ჯგუფებისათვის (რომელთაც დღეისათვის მხოლოდ ორი ოთახი გააჩნიათ 93 ბავშვზე) გამოვყოთ 7 ოთახი.

სკოლაში მუშაობს კეთილმოწყობილი ბუფეტი. მოწესრიგებულია გახანგრძლივებული ჯგუფების მოსწავლეთა კვების საკითხი: დღეისათვის უფასოდ იკვებება შვიდი ბავშვი, 50 პროცენტის შეღავათით კი 9 მოსწავლე. გვაქვს ცხელი კერძებიც. მაგრამ, გაუმჯობესების მიზნით, გადაწყვეტილი გვაქვს ცვლილებები შევიტანოთ ბუფეტის მუშაობაში, გავზარდოთ კერძების ასორტიმენტი.

ჩვენი უპირველესი მიზანია, დავაახლოვოთ სკოლის პირობები ოჯახურ გარემოსთან, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ დედა გულარხეინად იყოს სამუშაოზე, ბავშვი



ნოდარ ლაითაძე

12134

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. მარქს ს ს ხ. საქ. სსრ სახელმწიფო რ. საჯარო ბიბლიოთეკა



აფროდიტა გეგია

ბასაც. ჩემი სამუშაო პროფილის გამო ხშირი საქმიანი კონტაქტი მაქვს ამ სკოლასთან და დიდად მახარებს ის წარმატებები, რასაც სკოლის კოლექტივი თავისი გონივრული, გეგმაზომიერი და თავდადებული შრომით აღწევს.

* * *

ჩემი ფიქრით, ყველა დაბრკოლების დაძლევა შეიძლება, როცა კოლექტივი ასე დაუღალავად შრომობს.

მალე ჩემს უმცროს შვილს შევიყვან სკოლაში და ერთი წუთით არ დამაფიქრებს მისი მოვლის ამბავი. ვიცი, როგორც ოჯახში ისე იქნება მოვლილი და ნაპატრონები.

ჩვენ აქ მხოლოდ თბილისის სამ სკოლის წარმომადგენლებს დავუთმეთ ტრიბუნა, მაგრამ მათი საუბრებიდანაც ნათლად ჩანს ის პრობლემები, საზრუნავი და საფიქრელი, რაც დღეს გახანგრძლივებული ჯგუფების მუშაობას ახლავს.

დედა — მეუღლე, მეოჯახე, მოაზროვნე, კომუნიზმის აქტიური მშენებელი.

მოსწავლე — ჩვენი მომავალი, ჩვენი ხვალინდელი დღე, ჩვენი ბედნიერი სიბერე.

საბჭოთა პედაგოგი — ახალგაზრდობის სულიერი მოძღვარი, მისი გზის გამკვალავი.

აი ვისთანაა დაკავშირებული ყოველივე ის, რაზედაც ამ სხდომაზე იყო საუბარი, საუბარი, რომელიც ვიმედოვნებთ, თავის ნაყოფს გამოიღებს.

მზია კობალაძე



ნაპატრონები, მოვლილი და ნასათუთები ეგულებოდეს.

**აფროდიტა გეგია, თბილისის 23-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში:**

ჩვენ სკოლაში მაქსიმალური პირობებია შექმნილი გახანგრძლივებული ჯგუფების მოსწავლეთა სწორად აღზრდა-მოვლისათვის, უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო გახანგრძლივებული ჯგუფების ხელმძღვანელების მაღალი პროფესიული დონე.

მე არ ვეთანხმები გამოსული ამხანაგების აზრს, თითქოს დიდ სირთულეს ქმნიდეს ბავშვების სხვადასხვა საგანში მეცადინეობა. საჭიროა მტკიცე რეჟიმი. ჩვენს სკოლაში სისტემატურად მორიგეობენ სხვადასხვა სპეციალობის პედაგოგები, რომლებიც საჭირო შემთხვევაში მზად არიან დაეხმარონ გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელს.

23-ე სკოლაში გახანგრძლივებულ ჯგუფებში ირიცხება 164 მოსწავლე, ბინის მხრივ, უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, რადგან სკოლა ერთ ცვლაში მუშაობს. თანაც დღის განრიგი ისეა შემუშავებული, რომ ოთახში ერთდროულად ცოტა ბავშვია; ზოგი სპორტულ დარბაზშია, სპორტულ სექციაში მეცადინეობს, ზოგი მუსიკის გაკვეთილზეა წასული (მუსიკალური სკოლაც, ბედად, გვერდზე გვაქვს), ზოგი ლიტერატურულ წრეში მეცადინეობს, ზოგი ეზოში თამაშობს, ზოგიც კიდევ ოთახში ამზადებს გაკვეთილებს და ა. შ.

რაც შეეხება კვების საკითხს, ესეც ძალიან მოხერხებულად გადავჭერით. სკოლას აქვს საკუთარი სასადილო, სადაც ყოველდღიურად 230 ბავშვი სადილობს. სამზარეულოს სამი კაცი ემსახურება. გვაქვს ცხელი კერძები, ხილი, ბოსტნეული.

გახანგრძლივებული ჯგუფების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სკოლის მთელი კოლექტივი.

**მზია კობალაძე, გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელი:**

როგორც უკვე მოგახსენეს, ჩვენს სკოლაში კარგი პირობებია შექმნილი გახანგრძლივებული ჯგუფების მუშაობისათვის; მე კი ერთი გულისტკივილი მინდა გამოვთქვა, რისი გადაწყვეტაც სკოლის ადმინისტრაციის ძალებს აღემატება და უფრო კომპეტენტური ორგანოების ჩარევას მოითხოვს:

ჩემი აზრით, თუ გვინდა, რომ მუშაობას ნამდვილად კარგი შედეგი მოჰქონდეს, ერთ ჯგუფში ბავშვთა რაოდენობა ოცს არ უნდა აღემატებოდეს, ანდა, როგორც ადრე იყო, თითოეულ ჯგუფს დაემატოს თითო პედაგოგი, ნახევარი შტატით, რაც უდაოდ დიდ შედეგს მოგვცემს.

**ლამარა ვეკუა, 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლის მშობელი:**

მე სამი შვილის დედა გახლავართ. შვილების აღზრდას ვუთავსებ მეცნიერულ მუშაო-

# ზესტაფო-ნელთა საქმეები



მ. ჩიქოვანი (შუაში) ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკაში

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელი მეცხრე ხუთწლედის დამკვრელური შრომის წელიწადადაა გამოცხადებული.

წელს ისე, როგორც არასოდეს, მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, ამ დიდ საზოგადოებრივ მოძრაობას მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის ქალთა საბჭოები. მტკიცედ დაირაზმა ქალთა ათასები. პენსიაზე გასული ვეტერანი ქალებიც კი დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებს. ქალთა საბჭოები სათავეში ჩაუდგნენ მათი მდიდარი გამოცდილების გავრცელებას, ისინი მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებენ მშრომელი ქალების საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობების გაუმჯობესებისათვის...

ამ წერილში გვინდა მკითხველს მოვუთხროთ ზესტაფონის ქალთა რაიონული საბჭოს საქმიანობის შესახებ. ქალთა საბჭოს სათავეში უდგას რაიონის განათლების განყოფილების გამგე მარიამ ჩიქოვანი, იგი რეგულარულად იწვევს საბჭოს სხდომებს, იხილავს საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების ქალთა საბჭოების მუშაობას, სახავს ღონისძიებებს საქმის უკეთ წარმართვისათვის.

ქალთა საბჭოს ინიციატივით ჯერ კიდევ 1970 წელს ზესტაფონის მეორე საშუალო და კვალითის საშუალო სკოლებს დაემატათ გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, სოფელ ალავერდში და მეორე სვირში გაიხსნა საბავშვო ბაგა-ბაღი, ალავერდში აშენდა აბანო.

ამას წინათ ზესტაფონის ქალთა საბჭომ შეამოწმა სოფლების — კვალითის და არგვეთის საშუალო და ზესტაფონის პირველ საშუალო სკოლასთან არსებული გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობა, გამოავლინა ნაკლოვანებები. საკითხი განსახილველად გადასცა რაიონის განათლების განყოფილებას. მიღებული ზომების შედეგად, ნაკლოვანებები მალე გამოსწორდა.

სამკერვალო ფაბრიკას, სადაც შვიდასზე მეტი ქალი მუშაობს, არ ჰქონდა საკუთარი ავტობუსი. სამარშრუტო ავტობუსი კი ფაბრიკასთან არ ჩერდებოდა და ცვლიდან გამოსულ ქალებს ფეხით უხდებოდათ დიდი მანძილის გავლა. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ფაბრიკაში, ისე მის ბაგა-ბაღშიც დილის შვიდ საათსა და ოცდაათ წუთზე იწყებოდა მუშაობა, რაც გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდა მუშა ქალებს. ქალთა საბჭომ მოაგვარა ეს საკითხი, ახლა ბაგა-ბაღი შვიდ საათზე იწყებს მუშაობას, ასევე დადებითად მოგვარდა ავტობუსის საკითხიც.

ზესტაფონის ქალთა საბჭოს წევრებს ხშირად ნახავთ სოფლებში, ისინი კოლმეურნე ქალებს ამარაგებენ წიგნებით, ამოწმებენ კოლმეურნე ქალთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას. ქალთა საბჭოს ინიციატივით ბევრ სოფელში აშენდა და შენდება აბანოები, საბჭო იბრძვის იმისთვის, რომ ყველა სოფელში იყოს ქალთა სალონი, სამკერვალო სახელოსნო.

ქალებმა დიდი წვლილი შეიტანეს რაიონული ცენტრისა და სოფლების გამწვანების საქმეში, სამიათასი ძირი ხე დარგეს და გაახარეს.

ქალთა საბჭო ეხმარება მრავალშვილიან დედებს, ომის მონაწილე და ძველ რევოლუციონერ ქალებს, აწყობს მათთან შეხვედრებს.

ქალთა საბჭომ ფულადი დახმარება გაუწია ძველ კომუნისტს, ვეტერან ქალს თ. კუხიანიძეს. სამი ვეტერანი ქალი სანატორიუმის საგზურით უზრუნველყო.

ქალთა კულტურული დასვენებისათვის ქალთა საბჭო აწყობს ექსკურსიებს ღირსშესანიშნავ ადგილებში. ამას წინათ რაიონის მოწინავე ქალებმა ნახეს და დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმები, იყვნენ ბაზალეთის ტბაზე, კოლექტიურად დადიან კინო-თეატრებში.

ქალთა საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს წესრიგის დაცვის საკითხებს — საბჭოს წევრები სისტემატურად მორიგეობენ: მილიციის ბავშვთა ოთახებში, ავტობუსების სადგურში, კინოში, რკინისგზის სადგურში, ყოველთვის არიან იქ, სადაც ადამიანების თავშესაყარია, თვალყურს ადევნებენ ბავშვების მოქმედებას.

ზესტაფონის ქალთა საბჭომ ბევრი ოჯახი გადაარჩინა დანგრევას. ზოგი დედა, კერძოდ თ. ბუბაშვილი ახალი კეთილმოწყობილი ბინით გაახარა.

ბევრი მოწინავე ქალის დასახელება შეიძლება, რომლებმაც თავიანთი ენერგიული შრომით დიდი წვლილი შეიტანეს რაიონის საერთო წარმატებებში, მაგრამ მოწინავეთა შორის მაინც გამოირჩევიან ვერა ხარაძე-ღვანიძე, ნათელა იმნაიშვილი, შურა კვენეტაძე, კლარა ჩიქობავა, ოლია ჩუბინიძე, აზა გეწაძე. ეს ქალები თავიანთ სამუშაო უბანზედაც მოწინავენი არიან და ქალთა შორის მუშაობაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

ზესტაფონის ქალთა საბჭო ყოველდღიურად იბრძვის იმისათვის, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესოს და მრავალფეროვანი გახადოს თავისი საქმიანობა.

ოლია დადიანი

სტეფანე მხარგრძელი

ვუძღვნი მეთექვსმეტე საუკუნის სახელოვანი ქართველი ქალის ბულბულა ქვიშხეთელის მამაცობას.



# ბულბული

ტყის ჩეროებში შეფარებული
მთისკენ გაქცეულ ბილიკს ავყევი,
ვნახე წარსული შემაღლებული —
ბულბულის ციხის ძველი ნანგრევი.
დახეთქილ კედლებს ფუთნის ფათალო
და ეკალ-ბარდი, გზების მხაფრავი...
ციხევ, ქართული სულის ნათალო,
რარიგად მიყვარს შენი ამბავი!

...თქმულებამ ჩემს წინ გაიკაშკაშა,
ზოგსაც საკუთარ განცდებს მივენდე.
ჩამოიცილა ჟანგი ქარქაშმა,
ხმლის ჩახაჩუხი აღწევს ციხემდე...

რა დრო ვიხელთე... როგორც შევძელი,
ხავსს გამოვტაცე განძი ნამდვილი, —
ამოვამზევე დროშის შემცვლელი —
გმირი ქართველი ქალის მანდილი.

...პატივმგებელი ორწილ იშოვა,
რა მხიარული იყო ბულბულა!
სადაც იძალა ქორწილ-ნიშნობამ,
ყველგან სიმღერა ჩააბულბულა.

და ეს სახელიც მისთვის დაარქვეს,
რომ შეეცილა ბულბულს გალობას,
დადის, საროს ტანს ციმციმ დაარხევს,
მუდამ იმშვენებს ბულბულქალობას.
— ბულბულ, მოიტა წყალი წყაროდან,
თორემ კოკებში გვიდგას ლელეჩი...
და გლეხის გოგოც ცეკვით ჩარბოდა
იმ თავანკარა სოფლის ღელეში.
თვალები ჰქონდა ისე ცისფერი...
და მოქნეული გრძელი დალალი,
სახეს შვენოდა ხალი გიშერის
და წამწამების ხშირი თალარი.

ხალისიანი ვაზებს ფურჩნიდა,
შეთვალულ ვენახს ჩგავდა ბულბულა.
და არც ბალახის თიბვა უჭირდა —
მინდორში თივა დააბულულა.
მან ყველას გულში აჩაღა ღველფი,
ირგვლივ მოჰფინა თვალთა ბრიალით.
დღეს რომ ალუბლებს გადასდის ცეცხლი,
მისი თვალების ნაკვესი არი...
და ამ გოგონას წუთისოფელმა
თუ დაანათლა მღერა-გალობა,
ასწავლა ხმალის მარჯვედ მოქნევაც
და ვაჟკაცური ფხაც უწყალობა.
...ყმაწვილმაც იცის დღეს უკეთესად,
რომ ლეკის ძმაა ახლა ქართველი,
წინ კი მას ჩვენთან შუღლი ეთესა
და გზას კარგავდა სანთელ-საკმელი.
ღამით დაეცნენ სოფელს ლეკები,
თან მოიტანეს ზარი და შიში...
— ლეკებო, საით მიერეკებით
შებორკილ ქულფათს, მოხუცს თუ
წვრილშვილს!
ამდენი მსხვერპლი აღარ გეყოფათ?
როდემდე გწიროთ ხალხმა ზვარაკი?!
იქით სპარსობა, აქეთ ლეკობა, —
და ხმლის ქნევაში გავჭალარავდით.
რაკი ოდითგან დახსნის გზას ვეძებთ,
საქართველოში ქალიც ვაჟკაცობს, —
აჰა, ბულბულა მიუძღვის მხედრებს,
შავხალიანი, როგორც ყაყაჩო.
...დაფრინავს ყველგან მახარობელი:
— გვიძლვის ბულბულა!
— შენს პირს შაქარი...
მაგრამ დასუსტდა მაინც სოფელი,
მაგრამ შეთხელდა მაინც ლაშქარი.
...და როცა სჯობდა, გაცლა ირჩია, —
ბულბულა ციხეს მიადგა ლაშქრით.

თუმც ქართველობა გასაჭირშია:
ჩასაფრდა შიგნით, იარაღს არ ყრის.
გაუვალ ტყეში დაიბნა მტერი
ხოცვას და ჟლეტას გადაგებული...
და იდგა ციხე — გმირობა ჩვენი,
მაღალ ქარაფთან ატატებული.
როგორც მგელს კრავი, კვლავაც ცოცხალი,
ქარს ისე მიაქვს ღრუბლის ნახევი...
მთვარე ჰკიდია ცას ნაოთხალი,
თითქოს ლოყაა ლეკის ნახმლევი.
არა ცხრებიან მომხდურნი კვლავაც...
გადახიზნულებს იცავს გორაკი,
უცდიან, მტრის მზე როდისღა ჩავა, —
მაგრამ სადღა აქვთ წყალი, ხორაგი!
და ფართქალებენ ხახაგამშრალი,
როგორც თევზები უწყლოდ, ხმელეთზე,
კვდება წყურვილით ხალხი მაშვრალი,
მაგრამ ვინ ჩავა სოფლის ღელეზე?
ვის სურს შემორტყმულ ბრბოსთან ჭიდილი?
გადაჭრილია ყველა გზა-კვალი,
ან ვინ ითავებს, შავი სიკვდილის
გზაზე ბნეული იყოს მაშვალი?!
— ბულბულ, მოიტა წყალი წყაროდან! —
ვინ გაუბედავს წინამძღოლს სიტყვებს?
განა იმისთვის გულმქუხარობდა,
რომ მორბედ გოგოდ გადიქცეს ისევ?!
რამდენი თვალი ნდობით შეჰყურებს,
რამდენს იმედი მასზე ამოსდის...
ყველა დალოცავს მის ნაფეხურებს,
მაგრამ ძნელია ის გზა წყარომდე.
მორჩა. გათავდა. ო, ველარ უძლებს
ტანჯულ ბაგეებს, გამშრალს წყურვილით,
უცებ კოკურას იხუტებს გულზე,
ხორცს ისხამს მისი დიდი სურვილი.
— ნუ წახვალ! — ისმის გმინვის მაგვარად
და შეაშტერეს ნასიცხი თვალი, —
კოკა წყლის გზაზე ხშირად გამტყდარა...
„— ქართველ მეომარს სწყურია წყალი!“
თქვა და მონახა წყაროს სავალი,
თავქვე დაეშვა ქალი ლომგული...
მიაცილებდა თვალი მრავალი,
გადმომზირალი ციხის ქონგურით.
მაგრამ შენიშნეს... მტერმა იძალა...
როგორც გაავსო ფრთხილად კოკურა,
მისი სიცოცხლე ჩამოიცალა
და შემოერტყნენ ასულს ლობურად.
...მიდამო მწუხრით გადასუდრულა,
ირგვლივ თარეშობს ქარი ქვიშხური...
სოფლის ღელესთან გდია ბულბულა,
ფიცხი ხანჯლებით გულდასისხლული.

* * *

აქ ძველისძველი ქრება ლეგენდა,
ნახევრად მთებმა რომ მიკარნახეს,
ბულბულას ’ამბავს ქებას შევბედავ,,
მოვფენ ქვიშხეთის გრძნეულ სანახებს.
ციხის ნანგრევთან ნაზი, ნარნარი
ზის ბულბული და არ წყვეტს გალობას, —
ეს იმ ბულბულას ტკბილი ხმა არის,
ვაშა მის ნამდვილ ქართველქალობას!
მასზე ბევრი რამ დამრჩა სათქმელი,
ვღელავ, წერაზე უკვე ხელს ვილებ, —
ციხეს დაარქვეს მისი სახელი
და იწოდება ბულბულის ციხედ.

1972 წ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას მირჩევთ?

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, ისევ თქვენ მოგმართავთ, ძვირფასო რედაქციავ. გთხოვთ, დამიგდოთ ყური და დამარიგოთ, როგორ მოვიქცე.

გავთხოვდი ოცი წლისა. ცოლად გავყევი მამაკაცს, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობდი და სამი წელი გვიყვარდა ერთმანეთი.

გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ დავამთავრე ინსტიტუტი. მალე ბავშვიც შემეძინა და რადგან ბავშვი ფიზიკურად სუსტი დაიბადა და მომვლელიც არავინ მყავდა, სამსახური აღარ დამიწყია. ვდიასახლისობდი, ბავშვს და მეუღლეს ვუვლიდი, არაფერზე ვწუწუნებდი და მუდამ ქმრისა და ოჯახის ერთგული ვიყავი.

თავდაპირველად ჩემი ბედნიერება ულრუბლო იყო. მაგრამ შემდეგ მეუღლემ სამსახურიდან დაგვიანება დაიწყო, ზოგჯერ კი ღამე სულაც არ მოდიოდა. ეს მდგომარეობა თითქმის ერთი წელი გაგრძელდა. პირველად ყველაფერს გულში ვიკლავდი, ჩხუბს და უსიამოვნებას ვერიდებოდი. თუ ვეტყოდი, რატომ იქცევი ასე-მეთქი, მიპასუხებდა: „მაპატიე, აღარ დაგიგვიანებო". ამის მეტს არაფერს ამბობდა. მე, რა თქმა უნდა, ახლობლებს ყველაფერს ვუმალავდი. მაგრამ ბოლოს იმათაც შემატყვეს, რადგან ამდენი დარდით ჩემი ჯანმრთელობა თითქმის განადგურდა. მაგრამ რა? ვერავინ შეძლო გაეგო, რატომ იქცეოდა ასე, ან სად დადიოდა. არც არავის დარიგებამ გასჭრა მასზე. მე ყველაფერს ვიტანდი იმისათვის, რომ ოჯახი არ დამნგრეოდა. რამდენი დამცირება, უძილო ღამე და შიში გადამიტანია...

მოგიყვანთ ერთ მაგალითს: ერთ საღამოს სახლიდან გავიდა — გასტრონომში სიგარეტს ვიყიდი და ახლავე დავბრუნდებიო. ის-ის იყო, ვახშამი უნდა გვეჭამა... ველოდები, შუაღამემ მოატანა და არ გამოჩნდა. დავიწყე ძებნა, მაგრამ ვერსად ვიპოვე. ადვილად წარმოიდგენთ, რა განვიცადე. მხოლოდ დილით დაბრუნდა და მითხრა, ამხანაგთან ვიყავიო. მეტი ვერაფერი ვათქმევინე.

სამსახურში მას გულმოდგინე, საქმის ერთგულ მუშაკად, სერიოზულ კაცად იცნობენ. ვინმესთვის რომ ჩემი უბედურება მეამბნა, ალბათ, არც დამიჯერებდნენ. ბევრჯერ გადავწყვიტე გავცილებოდი, მაგრამ ის სასტიკ უარზე იყო, მეც რაღა მექნა, საზოგადოებისა მრცხვენოდა, თანაც მიყვარდა და ვფიქრობდი, იქნებ, გამოსწორდეს-მეთქი.

რამდენიმე ხნის წინ ის სამსახურიდან რუსეთში გაგზავნეს 3-თვიანი მივლინებით. სამი თვეც გავიდა, მაგრამ არ დაბრუნდა. ბავშვი ავად გამიხდა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო და მამა მოიკითხა. მე დავურეკე. ჩამოვალო, მითხრა, მაგრამ არ ჩამოსულა. ამის შემდეგ უკვე ოთხმა თვემ განვლო, ის კი არა ჩანს. მე ლოდინმა გული დამილია. ახლახან გავიგე, რომ სხვა ქალაქში გადასულა, იქ მუშაობს და რამდენიმე თვეში ჩამოვა.

ჩემი გოგონა უკვე ოთხი წლისაა. ქუჩაში რომ მიმყავს, ხალხი სიყვარულით ადევნებს თვალს. ღვიძლი მამა კი, საკუთარი მამა არ აკითხავს.

მე სულიერად და ფიზიკურად ისე დავეცი, რომ თითქმის ვეღარავინ მცნობს გულიც ცუდად მაქვს. ვფიქრობ, მუშაობა დავიწყო, მაგრამ შევძლებ კი? მითხარით, რა ვუთხრა, რომ ჩამოვა ისეთ ადამიანს, რომელმაც არც მოხუცი დედის ცრემლებს მიაქცია ყურადღება, მეც გამწირა და საკუთარი შვილიც? იქნებ, თქვათ, ამაზე ლაპარაკი ღირდაო? ზოგს ხომ ცხოვრებაში უარესიც დამართვია?.. მაგრამ რა ვქნა, თუ ნებისყოფა არ მყოფნის, რომ გავმაგრდე? მამისაგან მიტოვებულ ბავშვს დედაც ეღუპება. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?

ლ. მ.

### რად ვარ გულჩახვეული?

მე უკვე პატარა გოგონა აღარ მქვია, საშუალო სკოლა დავამთავრე და უმაღლესში ვსწავლობ. მაგრამ ამ სიხარულის, მზექაბუკობის წლებში მე არ განვიცდი იმ აღმაფრენას, იმ გულსავსობას, რასაც მწერლები უმღერიან ხოლმე. მიზეზიო? — იკითხავთ თქვენ. თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. ჯობს, ყველაფერი დაწვრილებით მოგიყვეთ.

მე თითქოს არ გადამიტანია დიდი სულიერი ტრავმები: დედ-მამაც მყავს, ნათესავებიც და მეგობრებიც. დედაჩემი განათლებული ქალია, მამაჩემიც ასევე. არც ურიგოდ ვცხოვრობთ, მაგრამ ცხოვრებაში ხომ ბევრი რამ იგულისხმება...

სულ პატარა ვიყავი, დედასა და მამას შორის უხეში ურთიერთობა რომ ვიგრძენი. მამამ ლოთობა, დროსტარება დაიწყო. ხშირად მოდიოდა მთვრალი და მიზეზს ეძებდა საჩხუბრად. არ მახსოვს, მისთვის დედას მოეთმინოს და ხშირად საქმე მუშტიკრივამდე მიდიოდა. მე ამ დროს ვიდექი კუთხეში უმწეო, პატარა და შეშინებული ვტიროდი. წამოვიზარდე, სკოლაში სიარული დავიწყე, კარგადაც ვსწავლობდი. მაგრამ თქვენ გგონიათ შეწყდა ეს ოირომტრიალი? პირიქით, უფრო გაძლიერდა. მე ახლა კი აღარ ვტიროდი, არამედ ვაკვირდებოდი, ვისი მხარე დამეჭირა. მამა ხშირად ტყუოდა, მაგრამ ბოლოს მაინც ის ითმენდა ხოლმე. დედას სახლში ხშირად მოუყვანია ამხანაგები იმის გასარჩევად, თუ ვინ იყო დამნაშავე. მე ამ დროს სახლიდან გავრბოდი. განა იმიტომ, რომ ჩემი თანდასწრებით არ უნდოდათ ელაპარაკათ. არა! მე თვითონ ძალიან მრცხვენოდა: მოსულები ხშირად ჩემი მასწავლებლები იყვნენ.

მართალი გითხრათ, სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, ფეხები უკან მრჩებოდა. სკოლაში თავს უფრო ბედნიერად ვგრძნობდი. ასე დავამთავრე საშუალო. პირველ წელს ვერ მოვეწყე უმაღლესში, მეორე წელს კი ჩავირიცხე. ახლა დედა და მამა ისე აღარ ჩხუბობენ, რცხვენიათ: მოსწრებული შვილი გვყავსო. მე კი იმდროინდელი შიში და ელდა გულში ჩამრჩა. სახლში გულჩახვეული ვარ, ჩემს საქმეებზე დედას ვერაფერს ვეუბნები. ის კი ბრაზდება და მიყვირის, ადრე დაბერებული ხარო. მართლაც, არა მაქვს ის ხალისი, რასაც ჩემს თანატოლებს ვამჩნევ. ზოგჯერ მინდა დედას ყველაფერი გავუმხილო, მაგრამ არაფერი გამომდის.

ერთხელ ინსტიტუტელმა ამხანაგმა ვაჟმა წერილი მომწერა — მიყვარხარო. მე ვიცი, რომ ცხოვრების თანამგზავრის ამორჩევა ძნელია და ამიტომ ჩემს თავს ძალა დავატანე და დედას გავანდე ეს ამბავი. მან კი იცით რა მიპასუხა: სად არსებობს სიყვარული, ხომ არ გაგიჟდიო?

ამის შემდეგ ამ საკითხზე აღარ გვილაპარაკია.

დედა ბევრს მელაპარაკება უნდობლობაზე, შურზე, გაუტანლობაზე. მისი აზრით ეს ქვეყანა ბოროტებით არის სავსე, სიკეთე არ არსებობს.

მე კი მიყვარს ის ვაჟი. მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ვის დავუჯერო — დედას თუ იმ ვაჟს, რომლის თვალები მხოლოდ ჩემდამი სიყვარულს ლაპარაკობენ?

ბ. თ.
გორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასათხოვ-რის სათხოვარი

(ფელეტონი)

გულდაწყვეტილი გახლავართ,
ვით უპატრონო წიწილა,
მამაკაცებმა დამჩაგრეს,
გაწყდეს მაგათი სინსილა!
მაგათი გული არ იქნა
ვერა და ვეღარ მოვიგე,
ხან მღივნად ვიყავ დიდ კაცთან,
ხან ვიმუშავე მორიგედ.
ვინ შემოგხვდა, საქმე გაქვს?!
არ იქნა ჩემი საშველი,
მიჩიჩინებდნენ: გათხოვდი,
მაგრამ არ ჩანდნენ მაშვლები.
ვიფიქრე: მოდას ავყვები,
იქნებ შეცდეს-თქო ყმაწვილი,
ტანი გავკოპე ცხრაგვარად,
გავხდი წერწეტა, ტანწვრილი.
ხან გრძელი კაბით ვიდოდი,
ხან დავდიოდი შიშველა,
რა არა ვცადე, არ იქნა
მოდამაც ვეღარ მიშველა.
თმები მოვუშვი ქაჯივით,
გამვლელს ვეგონე მტარვალი,
იკერებოდა ყოველდღე
ნაირ-ნაირი შარვალი.
პაპიროსს ქაჩვა დავუწყე,
და ხმა გამიხდა როხროხი,
რა არ მეხურა, ვინ იცის,
კეპკა თუ მწყემსის ბოხოხი!
მაგრამ ვერ გავხდი ვერაფერს,
რა მეშველება, არ ვიცი,
გადავაცილე ორმოცს და
ქალი უცეცხლოდ დავიწვი.
თვალი დაგიდგეთ კაცებო,
ვერ მამჩნევთ? ბრმები ხომ არ ხართ?
ნუთუ ამხელა ქალაქში
ერთ ყაზახს ვეღარ მოვნახავ!
რა გავაკეთო, არ ვიცი,
რამეს მირჩევენ ქალები,
ყველა გათხოვდა ჩემს მეტი —
ბრიყვებიც, მაწანწალებიც.
ჭორიკანობას მწამებენ,
თან მეძახიან შურიანს,
ენატლიკინა შემარქვეს —
მეც ლაპარაკი მწყურია!
ნეტავ რა პირი გაგიჩნდათ,
თქვენ მაინც სად ხართ, ცეტებო,
გამოიხედეთ, კაცებო,
თქვე ერთ დღეს გასაწყვეტებო!

ა. გოგიაშვილი

# ქორწინების ამოცანა და მიზანი

ქორწინება სოციალურად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომლითაც საძირკველი ეყრება ახალ ოჯახს. იგი დამოკიდებულია თითოეული პარტნიორის სურვილებსა და იმედებზე, ბედნიერებისა და სიყვარულის წარმოდგენებზე. ოჯახი ერთი პატარა სოციალური უჯრედია, რომელიც გარკვეულ კანონებსა და ნორმებს ექვემდებარება. საზოგადოებრივი ინტერესები და მიდრეკილებანი უპირველესად აისახება ოჯახში, მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ბავშვთა აღზრდაში. ამიტომ ქორწინება არა მარტო წყვილთათვის, არამედ სახელმწიფოებრივად ფასეული მოვლენაა.

ოჯახის შექმნის მიზანია: სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი შთამომავლობის აღზრდა, ქვეყნისათვის პროდუქტიული ღირებულების წარმოება და მშრომელი ხალხისა და კლასის ინტერესების დაცვა. ამ ნათელი მიზნის განხორციელება არც ისე იოლია. დიდი მნიშვნელობა აქვს ვის დაუკავშირებს ადამიანი თავის ბედს, ან რას ეძიებს მასში, უბრალოდ გრძნობებს აჰყვა თუ ცნობიერად აწონ-დაწონა და განსაჯა მომავალი ცხოვრების გზები.

ალბათ, ძნელია ისეთი პარტნიორის პოვნა, რომელიც ზუსტად შეესიტყვება ადამიანის მიერ წარმოსახულს, მაგრამ ქორწინება მაინც ხდება. ქორწინების ფაქტით თითოეული ახალგაზრდა სრულიად ახალ როლს კისრულობს, ქალი — ცოლისას, მამაკაცი — ქმრისას. ცოლქმრული როლის მიღება იმაში მდგომარეობს, რომ პირნათლად შეასრულონ ის ვალდებულებები, რაც თითოეულს აკისრია, რასაც ქორწინების ამოცანა გულისხმობს. უყვარს თუ არა ქალს ოჯახი, აქვს თუ არა დედობის „ატიტუდი" ან სხვანაირად, დედობის განწყობა? ხომ არ ავიწყდება, რომ ქალი ოჯახის დედაბოძია? ზრუნავს თუ არა მამაკაცი ოჯახის ეკონომიური სიძლიერისათვის? მეუღლის ერთგულია თუ ხშირ-ხშირად გატაცებულია სხვა ქალებით? მსგავსი საკითხები დგას ყოველი ოჯახის წინაშე და აღელვებს მრავალ ადამიანს.

ამბობენ, რომ სიყვარული ქორწინების ფუნდამენტია. მაგრამ ყოველთვის? მარტო სიყვარული ოჯახურ ბედნიერებას არ ქმნის. ზოგჯერ „ვარდისფერი იდეალებით" გატაცებულნი, შეუღლების შემდეგ მალე მიხვდებიან, რომ სრულიად განსხვავებულია მათი ინტერესები და შეხედულებანი, ერთსა და იმავე სიტუაციას სულ სხვადასხვაგვარად, ადრე გამომუშავებული აზროვნებითი ჩვევების მიხედვით აფასებენ.

წყვილთა შორის უთანხმოების მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს, სიზარმაცე და შრომისადმი სიძულვილი ერთ-ერთი ძირითადია. შეუძლებელია ცოლი მიდოდეს სამსახურში და ამ დროს ქმარს არხეინად ეძინოს და არ აწუხებდეს შვილებზე დარდი. ერთმა ახალგაზრდა მეცნიერმა ქალმა პირად საუბარში შემომჩივლა: ცოლის როლი მენატრება, ქმრის მოვალეობებსაც მე ვასრულებო.

განა შეიძლება ქალს ბოლომდე უყვარდეს ასეთი ქმარი? მსგავს შემთხვევაში იკარგება ურთიერთნდობა და სიყვარული. ქორწინება ვერ ამართლებს თავის მიზანს. ასეთი ოჯახის შვილებს მუდამ აკლდებათ ხოლმე სითბო და ალერსი. იწყება სევდიანი ბავშვობა, ასეთი ბავშვები ეგოცენტრულნი ხდებიან და ხშირად სხვების მიმართ უქრებათ გრძნობები. ცნობილია, რომ სწორედ ის ახალგაზრდები ვერ ქმნიან ჯანსაღ ოჯახს, რომელთაც ბავშვობაში ფსიქიური ტრამვები აქვთ გადატანილი.

ყოველ ოჯახს თავისი შინაგანი ორგანიზაცია ან სტრუქტურა უნდა გააჩნდეს. ოჯახში წარმოშობილი უკმაყოფილება ოჯახშივე უნდა მოწესრიგდეს. ამიტომ ამბობენ: „სახლს მარტო იმიტომ არა აქვს ჭერი, რომ წვიმა არ ჩამოვიდესო". ზოგიერთი ცოლქმარის ამბები ყველამ იცის, ახლობელია თუ შორეული. თვითცნობიერება ან თვითკონტროლი დიდი უნარია, რომელიც ადამიანს იცავს იმპულსურობისაგან. ხშირად ფიზიკური სიმწიფე როდი განსაზღვრავს ფსიქიურ მომწიფებულობას! ქორწინება სწორედ უკანასკნელს გულისხმობს.

ყოველი პარტნიორი უნდა ზრუნავდეს კულტურული ოჯახური ურთიერთობის მოწესრიგებაზე და პიროვნული თვისებების შეთანხმებაზე. თითოეულის ცოდნა და ინტელექტი გამოყენებული უნდა იქნას არა ურთიერთჩაგვრის, არამედ როგორც გაგებისა და ურთიერთშეგუების ინსტრუმენტი. შრომისმოყვარეობა, გულახდილობა, უანგარობა და ურთიერთპატივისცემა მეგობრული ოჯახის შექმნის საწინდარია.

ქორწინება, რომელიც მხოლოდ პირადულ, ეგოისტურ გრძნობებზეა აგებული, ყოველთვის საეჭვოა. ასეთ შემთხვევაში მეორე ადამიანი მხოლოდ „სასარგებლო" ობიექტად მიაჩნიათ, რომელიც მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებებისა და პ[illegible]

მოყვარეობის დაკმაყოფილებისთვისაა აუცილებელი.

უანგარო სიყვარულის დროს ქცევის შაბლონები სულ სხვაგვარია. საქმე პარტნიორის კეთილდღეობას შეეხება. ერთი ადამიანი მეორის ინტერესებით ცოცხლობს.

ხშირად წერენ, რომ ქალი არა მარტო მამაკაცზე, არამედ მის პიროვნულ და ინტელექტუალურ უნარზეც უნდა იყოს შეყვარებული. თანამედროვე ქალი მამაკაცზე არა ნაკლებ წარმატებებს აღწევს შემოქმედებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში. ამიტომ შეიძლება ზემოთთქმული ფორმულა შევაბრუნოთ: მამაკაცი არა მარტო ქალზე, არამედ ქალის ინტელექტუალურ უნარზეც უნდა იყოს შეყვარებული. სიყვარულის მოპოება შედარებით ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება. იგი მოითხოვს სულიერ გაგებასა და ყოველგვარ საქმიანობაში ურთიერთმხარდაჭერას.

ქორწინების შემდეგ ადამიანები თავს ან ბედნიერად გრძნობენ, ან უბედურად. ასეთი განცდა ინდივიდუალურია და შეიძლება სხვადასხვანაირად შეფასდეს, გააჩნია ვის როგორ ესმის ცნებები და რა შინაარსს დებს მასში. ზოგიერთები თავს უბედურად თვლიან იმის გამო, რომ არა აქვთ ძვირფასი სამკაულები ან ავეჯით გავსებული სახლი. ასეთები სულიერად დაცარიელებულნი არიან, არ ახარებთ მეგობრის წარმატება, არც ის, რომ მათი ოჯახის წევრები ჯანმრთელნი არიან, არც ის, რომ შვილები ჰყავთ და დედობის საპატიო როლი აკისრიათ. განა ბავშვები შემთხვევითი ბედნიერებაა? საუბედუროდ, მე ვიცნობ ერთ პედაგოგს, რომლის მეტყველების 90 პროცენტი ფულებსა და ოქროებს შეეხება. ასეთები ჭეშმარიტად უბედურები არიან.

აბსტრაქტული ბედნიერება ისევე არ არსებობს, როგორც აბსტრაქტული ადამიანი. ბედნიერების შეგრძნება ადამიანის, როგორც პიროვნების, განვითარებასთან არის დაკავშირებული. ცხოვრობდე არა ეგოისტური მისწრაფებებით, არამედ შენი ერის, შენი კლასის საკეთილდღეოდ, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. განა ბედნიერება არ არის, რომ სოციალიზმის დროს ქალი თავისუფალია და ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორც მამაკაცი? ბედნიერება შინაარსიან და სავსე ცხოვრებას გულისხმობს. მარქსი ბედნიერებას ბრძოლაში ხედავდა. მართლაც ნამდვილი ბედნიერება „არ იყიდება“, იგი დაძაბული ძიებისა და შრომის ნაყოფია. ერთი თანამედროვე ფრანგი რეჟისორი წერს: გიყვარდეს შენი საქმე და გყავდეს მეგობრები, აი, რა არის ბედნიერება! ამ სიტყვებში ჭეშმარიტება ღაღადებს: შრომა მატებს ადამიანს სიამაყეს და საზოგადოების ღირსეულ წევრად ხდის მას. ასეთ პრინციპებზე აგებული ოჯახი ყოველთვის მყარია და პირნათლად ასრულებს ქორწინებით დაკისრებულ რთულ ოჯახურ ვალდებულებებს.

**ჟუჟუნა ნეფარიძე**

# საახალწლო სუფრა

მალე ახალი წელი მობრძანდება. აფუსფუსდებიან ჩვენი დიასახლისები. რა შეედრება საახალწლო სამზადისს! იხალება გოზინაყისთვის ნიგოზი, ცხვება ნამცხვრები: ახალმა წელმა ხომ სიტკბო უნდა მოგვიტანოს! ბაზარზე, გასტრონომებში ხალხის ჭედვაა, გზას ვერ უქცევს ერთმანეთს სანოვაგით დატვირთული ქალი თუ კაცი. ახალი წელი ხომ ხვავიანი და ბარაქიანი უნდა იყოს!

ხვავი და ბარაქა ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს, ძვირფასო ქალებო. მაგრამ მოდით, ერთი ლამაზი ტრადიციაც გავიხსენოთ — ახალ წელს ნათესავებთან, მეგობრებთან სტუმრობა, ოჯახიდან ოჯახში გადასვლა, მილოცვა და დალოცვა.

ჰოდა, ეს საუბარი იმისათვის წამოვიწყეთ, რომ ჩვენს კარგ დიასახლისებს ერთი კარგი რჩევა მოგცეთ: მოდით, გავამრავალფეროვნოთ ჩვენი სადღესასწაულო სუფრა. მართალია, შემწვარი გოჭი, ინდაური და ტორტი კარგი რამ არის, მაგრამ არ დაკვირვებიხართ? — შეიძლება ახალ წელს რამდენიმე ოჯახი მოიაროთ და, სუფრის შემხედვარემ იფიქროთ, ისევ პირველ მასპინძელთან ვარო — ისე ჰგავს ყველა სუფრა ერთიმეორეს.

მერე, რა დასამალია და, ერთმანეთის წახედულებით, ხშირად მთელ ხელფასს იმ ორი დღის სანოვაგეში მივაფლანგავთ ხოლმე, რომელსაც მერე ვეღარც ვერევით.

აბა, გავიხსენოთ საყვარელი კერძების რეცეპტები! სამზარეულო წიგნები გადავფურცლ-გადმოვფურცლოთ, რამდენ ნუგბარ, არც თუ ისე ძვირ და სახათაბალო კერძის რეცეპტს აღმოვაჩენთ! განა შემწვარ გოჭზე ნაკლებია ცვრიანი ღორის მწვადი? ან ტორტს ჩამოუვარდება დაბრაწული ქადები და ნაზუქები?

ახლა ჩვენ რამდენიმე თავი საჭმლის დამზადებას გასწავლით. მერე კი თქვენც გამოგვიგზავნეთ იმ კერძების რეცეპტები, რომლებიც არც ისე ფართოდ არის გავრცელებული და განსაკუთრებით მოეწონათ თქვენს სტუმრებს.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, ძვირფასო ქალებო!

### დატენილი კვერცხი

მაგრად მოხარშული 5 კვერცხი ნაჭუჭიანად ფრთხილად გაჭერით სიგრძეზე ორად. მთლიანად ამოაცალეთ მოხარშული ცილაცა და გულიც და წვრილად დაკეპეთ.

ტაფაზე ორ სუფრის კოვზ ერბოში მოხრაკეთ წვრილად დაკეპილი მწვანე ხახვი, კამა, ოხრახუში, კვერცხი. გემოვნებით შეკაზმეთ მარილით და შავი პილპილით. გამზადებული სატენით ამოავსეთ კვერცხის ნაჭუჭი, დააწყვეთ ტაფაზე, დაჭრილი პირით ზევით. მოაყარეთ წვრილ სახეხზე გატარებული ქართული ან ჰოლანდიური ყველი და შედგით 10-15 წუთით ცხელ ღუმელში. შემდეგ ლამაზად დააწყვეთ თეფშებზე.

### სტაფილოს მხალი

1/2 კგ სტაფილო მსხვილ სახეხზე გახეხეთ. დანაყეთ 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 2 კბილი ნიორი, გემოვნებით — ქინძის თესლი, მწვანე ქინძი, კამა, 2 ცალი მიხაკი. ყველაფერი ეს გახსენით თეთრი მჟავე ბროწეულის წვენში (შეიძლება ძმარშიც), უყავით წვრილად დაკეპილი 3-4 ტოტი ოხრახუში და მარილი. მომზადებული საკაზმი ფრთხილად შეურიეთ გახეხილ სტაფილოს, თეფშზე დააწყვეთ და ზევიდან მოაბნიეთ ბროწეულის მარცვლები.

ამ მხალს სუფრაზე მიტანის წინ კაზმავენ. სტაფილოს გახეხვას დიდი დრო არ სჭირდება. საკაზმის მომზადება კი ადრეც შეიძლება.

ასევე მზადდება უმი კომბოსტოს მხალიც. კომბოსტო ამ კერძისთვის ძალიან თხლად უნდა დაიკეპოს და გაუწურავად შეიკაზმოს, ოღონდ ფრთხილად აურიეთ, რომ კომბოსტო არ დატყდეს.

### ღორის ხორცის რულეტი

ერთი თითის სისქის ღორის ხორცის რბილი, დიდი ნაჭერი დაბეგვეთ, მერე ზევიდან წაუსვით ერთად დანაყილი წითელი წიწაკა, ნიორი, ქინძის თესლი, ცოტა ქონდარი და მარილი, მრგვალად დაახვიეთ და ძაფით გაკოჭეთ ისე, რომ ძეხვის ფორმა მიიღოს. შეწვით ცხელ ცხიმიან ტაფაზე ან ჰაერღუმელში. სუფრაზე მირთმევის წინ ძაფები შემოაცალეთ და მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.

### შემწვარი თევზი საწებლით

1 კგ წვრილი მთელ-მთელი თევზი კანგაუცლელად შეწვით კეცზე ან ზეთიან ტაფაზე. 1 1/2 ჭიქა ბროწეულის წვენს დაუმატეთ გემოვნებით ერთად დანაყილი ნიორი, ქინძი, წიწაკა და მარილი.

შემწვარი თევზი ლანგარზე დააწყვეთ, ზემოდან დაასხით ბროწეულის საწებელი და მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები. თუ ბროწეულის წვენი მჟავე მოგეჩვენოთ, გააზავეთ ცოტა ანადუღარი ცივი წყლით.

### ხორცის ღვეძელი

200 გრ კარაქი გაადნეთ, ცხელს სათითაოდ შეათქვიფეთ 3 მთლიანი კვერცხი და 1 ჭიქა მაწონი. უყავით ცოტა მარილი და 1 ჩაის კოვზი შაქარი. მოურიეთ, კოვზით შეაზილეთ ფქვილი იმდენი, რომ ცომი თხელი იყოს. შემდეგ ცომი გადმოიღეთ ფიცარზე დაყრილ ფქვილზე. ოდნავ გააბრტყელეთ, მოაპნიეთ 1/2 ჩაის კოვზი სოდა, გადაკეცეთ და გააბრტყელეთ, ისევ მოაპნიეთ 1/2 ჩაის კოვზი სოდა, მერე ერთხელ კიდევ გადაკეცეთ, გააბრტყელეთ და მესამეჯერ მოაყარეთ 1/2 ჩაის კოვზი სოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციას განზრახული აქვს გააცნოს თავის მკითხველებს, თუ რა წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის მშრომელ ქალებს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, სახელდობრ, რა საჭირო და საინტერესო მეცნიერული, ნოვატორული და რაციონალიზატორული წინადადებები იქნა მათ მიერ წამოყენებული და წარმოებაში დანერგილი.

ამ მიზნით, გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები მეცნიერ, ნოვატორ და რაციონიზატორ ქალთა შესახებ ჩვენი ანკეტის მიხედვით:

1. საწარმო-დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობის დასახელება;
2. მისამართი;
3. მეცნიერული, რაციონალიზატორული და ნოვატორული წინადადების ავტორი (პროფესია და მუშაობის სტაჟი);
4. წინადადების არსი და მნიშვნელობა;
5. დაინერგა თუ არა წინადადება, სად და როდის;
6. მიენიჭა თუ არა ავტორს სათანადო საავტორო უფლება;
7. რა გავრცელება ჰპოვა მეცნიერულმა, ნოვატორულმა და რაციონალიზატორულმა წინადადებამ;
8. წინადადების დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომია;
9. ჯილდო წინადადებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 კგ მოხარშული საქონლის ხორცი ხორცსაკეპში გაატარეთ. 3 თავი ხახვი წვრილად დაკეპეთ და მოხრაკეთ. შეურიეთ შიგ დაკეპილი ხორცი, მაგრად მოხარშული და წვრილად დაჭრილი 2 კვერცხი, 3-4 ტოტი ოხრახუში, უყავით შავი პილპილი და მარილი. ცომი ორად გაყავით. გაზქურის თუნუქის ფურცელს მოაყარეთ ფქვილი და გააბრტყელეთ ზედ ცომის ნახევარი. დაადეთ ხორცის საკაზმი. ცომის მეორე ნაწილი გააბრტყელეთ და ზევიდან გადააფარეთ ხორცის ფენას. ნაპირები ამოუკეცეთ. ზევიდან გადაუსვით ცოტა მაწონში გახსნილი 1 კვერცხის გული და შედგით გამოსაცხობად.

### ქათამი თეთრი საწებლით

მსუქანი დედალი მოხარშეთ. $1^1/_2$ ლიტრ ბულიონს უყავით მარილი და შიგ მოხარშეთ სამი ჭიქა გარჩეული, გარეცხილი ბრინჯი. ეცადეთ, ბრინჯის მარცვლები არ ჩაგეშალოთ. მოხარშული ბრინჯი მრგვალ ლანგარზე მოათავსეთ და ზევიდან მოაწყვეთ ასო-ასო აჭრილი ქათამი.

ბულიონის ცხიმში ან კარაქში მოშუშეთ 1 ძალიან სავსე სუფრის კოვზი ფქვილი. უყავით მარილი და გააზავეთ 1 ჭიქა ბულიონით (ისე, რომ არაჟნის სისქე მიიღოს). მერე გადმოდგით ცეცხლიდან და სწრაფად გაქენით შიგ 1 კვერცხის გული, ჩააწურეთ ნახევარი ლიმონი ან ჩაუმატეთ ცოტა ლიმონის სიმჟავე. საწებელი ცხელ-ცხელი მოასხით ლანგარზე დაწყობილ ბრინჯსა და ქათამს. გააცივეთ და სუფრაზე ისე მიიტანეთ.

### ჩახრაკული ხორცი უცხო სუნელით

საქონლის რბილი ხორცი ძალიან თხლად დაჭერით და კარგად მოხრაკეთ, ვიდრე არ დარბილდება. დაუმატეთ დაკეპილი ხახვი, ისიც მოხრაკეთ, უყავით პამიდვრის პასტა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩაუმატეთ წმინდად დანაყილი 1 ჩაის კოვზი უცხო სუნელი, ნახევარი ჩაის კოვზი ქინძის თესლი, ცალკე დანაყილი 2-3 კბილი ნიორი და წიწაკა, მარილი, სულ ბოლოს დაუმატეთ 3 კოვზი არაჟანი და წამოადუღეთ.

ეს კერძი ქათმის ხორცითაც შეიძლება მომზადდეს.

### ქადა

7 ნათალი ჭიქა ფქვილი და 400 გრ კარაქი ერთად აკეპეთ დანით. შუაში ჩაღრმავეთ და ჩაასხით შიგ 1 ქილა მაწონი, ჩაუმატეთ 1 ჩაის კოვზი სოდა, ცოტა ვანილი და მოზილეთ ცომი.

ქადის გული მოამზადეთ ასე: გაადნეთ 400 გრ კარაქი, აურიეთ შიგ 500 გრ შაქარი, ნახევარი ჩაის კოვზი მარილი, ცოტა ვანილი და ფქვილი იმდენი, რომ ხოშოშა გამოვიდეს.

ცომი ორად გაყავით, სათითაოდ გააბრტყელეთ, მოაყარეთ ქადის გული და მილაკისებურად დაახვიეთ. დაჭერით სამკუთხედებად, ზევიდან კვერცხის გული მოუსვით და შედგით ჰაერღუმელში გამოსაცხობად.

### ფენოვანი ტორტი შესქელებული რძით

2 კვერცხი ათქვიფეთ 1 ჩაის ჭიქა შაქარში, შეურიეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი, 1 ჭიქა გატარებული ნიგოზი, 2 ჭიქა ფქვილი, ნახევარი ჩაის კოვზი სოდა.

ცომი სამად გაყავით. ტორტის ყალიბში ჩააფინეთ ცხიმწასმული ქაღალდი და ზედ გააბრტყელეთ ცომის ერთი ნაწილი. ასე გამოაცხვეთ სამი ფირფიტა.

1 ქილა შესქელებული რძე კოლოფიანად ჩადეთ ცივ წყალში და ორი საათი ადუღეთ. გააცივეთ, კოლოფიდან გადმოასხით, შეათქვიფეთ 100 გრ კარაქი და 1 ჭიქა გატარებული ნიგოზი.

გამომცხვარ ფენებს წაუსვით ეს კრემი და ერთიმეორეზე მოათავსეთ. შემდეგ კრემი ზევიდანაც გადაუსვით და ნაპირებზეც. ბოლოს მორთეთ მოხალული ნიგვზის ლებნებით.

მ. ყენია

გარეკანის პირველ გვერდზე — „რიტმი“. მხატვარი ნ. მეტონიძე; მეოთხე გვერდზე — ნ. კობალაძის მოდები.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურჯანიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. ზალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის— 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის— 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 19/X. 73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XI 73 წ. ქაღალდის ზომა 60X90$^1/_8$ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.3.

ტირაჟი 125.600. შეკვ. 3434 უე 13630 ფასი 30 კაპ.

# ᲨᲔᲘᲙᲔᲠᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ






ნახაზზე მოცემულია 44 ზომის გამოსასვლელი კაბა გოგონებისათვის. ამ ერთი თარგიდან შეიძლება შესრულდეს ორი მოდელი. კაბა შალის ქსოვილისაგან არის შეკერილი. წელში გადაჭრილია, ქვედა კაბა ირიბად არის აჭრილი. კაბის ზედა ნაწილი გამოყვანილი და ტანზე მომდგარია, პირველი კაბა გრძელსახელოებიანია და გრძელი შარფით არის გაწყობილი, მეორე კი მოკლესახელოებიანია, სახელოები და საყელო მაქმანით აქვს გაწყობილი.

ვეტა ნანუკაშვილი,
საქართველოს მოდელების სახლის მთავარი მოდელიორი

6. 13/2



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178